# თავი I

## დედების ქალაქი

ფეხმძიმედ თუ ყოფილხართ, „უახლოესი გეოგრაფია“ ძალიან სწრაფად უცნაური ხდება. თქვენ უცებ სხვისი გარემო ხდებით. და ყველაფერი, რაც ეხება იმას, თუ როგორ მოძრაობს თქვენი სხეული სამყაროში და როგორ აღიქვამენ მას სხვები, მალე შეიცვლება.

ლონდონისთვის ჩვეული მოჟამული ზამთრის, უჩვეულოდ თბილი გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში ჩემს შვილ მედიზე ვიყავი ფეხმძიმედ. კენტიშ თაუნში, ოფისში ნახევარ განაკვეთზე ვმუშაობდი. ფინჩლი ცენტრალიდან  მეტროს მხოლოდ ხუთ გაჩერებას გავდიოდი, მაგრამ უმეტეს დღეებში მგზავრობა უსასრულოდ იწელებოდა. დილის ცვლაში მუშაობისას გულისრევა მაიძულებდა არჩვეიში ჩამოვსულიყავი, სადაც სკამზე წავიბორძიკებდი და მუცლის დაწყნარებას ვცდილობდი, სანამ ახალ მატარებელში ფრთხილად არ ავიდოდი. სანამ ფეხმძმიმობა თვალსაჩინო არ გახდა, არანაირი შანსი არ იყო, ადგილი შემოეთავაზებინათ, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად მწვანე და გაფითრებული სახე მქონდა. თავაზიანობის ნაკლებობა დიდად არც მას შემდეგ გაუმჯობესებულა, რაც მუცელი გამეზარდა.

გადაწყვეტილი მქონდა, ერთ-ერთი იმ ორსულთაგანი ვყოფილიყავი, რომლებიც ნორმალურ ცხოვრებას აგრძელებენ, თითქოს არაფერი შეცვლილა. ეს იყო დიდი ხნით ადრე, სანამ სერენა უილიამსი ორსულობისას გრანდ სლემის ტურნირს მოიგებდა, თუმცა მე სწორედ ამ სულისკვეთებით ვიყავი გამსჭვალული. ქალთა კვლევების ახალი კურსდამთავრებული ვიყავი საკუთარი გამოცემული წიგნით -  „ჩვენი სხეულები, ჩვენ თვითონ“. მზად ვიყავი, მტკიცედ ვმდგარიყავი და ფემინისტური პრინციპებისთვის არ გადამეხვია პათოლოგიზებული, მიზოგინისტური სამედიცინო პროფესიის წინაშე. მალე აღმოვაჩინე, რომ რადგანაც ბრიტანეთში ბებიაქალები მშობიარობამდელ და მშობიარობის შემდგომ მოვლაში კვლავ დომინირებდნენ, სისტემის მიმართ ჩემი ბრაზი  არასწორად იყო მიმართული. თუმცა, სრულიად მოუმზადებელი აღმოვჩნდი იმისთვის, როიმ ჩემი ადგილი ქალაქში შეიცვლებოდა.

„ფემინისტური გეოგრაფიის“ შესახებ ჯერ კიდევ არაფერი ვიცოდი, მაგრამ უდავოდ ფემინისტი ვიყავი და ჩემი ფემინისტური მე ყოველ ნაბიჯზე აღშფოთებული იყო. ჩემი სხეული უცებ საზოგადო საკუთრებად გადაიქცა, შეხებისა და კომენტირებისთვის ხელმისაწვდომი გახდა. სხვებისთვის ჩემი სხეული დიდი უხერხულობა იყო და მათი მხრიდან ამის აღნიშვნა არავითარ პრობლემას არ წამოადგენდა. ჩემი სხეულის ახალმა ფორმამ ქალაქში ანონიმურობისა და უხილავობის განცდა წამართვა. მე უკვე ვეღარ ვერწყმოდი ბრბოს და მისი ნაწილი ვეღარ ვხდებოდი, ხალხს ვეღარ ვაკვირდებოდი. მე ვიყავი ის, ვისაც აკვირდებოდნენ.

არ მესმოდა, რამდენად ვაფასებდი ამ ყველაფერს, სანამ არ დავკარგავდი. ჩვეული მდგომარეობა არც ჩემი ქალიშვილის დაბადების შემდეგ დაბრუნებულა ჯადოსნურად. ორსულობამ და დედობამ გენდერული ქალაქი ჩემთვის მკაფიოდ ხილული გახადა. ჩემი სხეული ასეთი ცხადი იშვიათად ყოფილა. რა თქმა უნდა, ჩემი გენდერი სხეულებრივია, მაგრამ ის ყოველთვის იქ იყო. ფეხმძიმობა სიახლე აღმოჩნდა, რამაც ქალაქი ახლებურად დამანახა. კავშირი სხეულებრიობასა და ქალაქის გამოცდილებას შორის გაცილებით უფრო შინაგანი გახდა. მართალია ქუჩაში შევიწროება და შიშიც გამომიცდია, თუმცა ნაკლებად მესმოდა, რამდენად ღრმა, როგორი სისტემური და  გეოგრაფიული იყო ეს ყველაფერი.

**ფლანერი ქალი**[1]

მე, როგორც ქალს, ქალაქში სრული ანონომურობისა და უხილავობის განცდა  არასდროს მქონია. შევიწროების მუდმივი მოლოდინი ნიშნავდა, რომ ბრბოსთან შეუმჩნევლად შერწყმის შესაძლებლობა ყოველთვის ხანმოკლე იყო. მიუხედავად ამისა, თეთრკანიანობისა და  შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობის არქონის პრივილეგიებმა გარკვეული დონის უხილავობა მაინც მომცა. ურბანულ

[1] ავტორი ფრანგული სიტყვით Flâneur თამაშობს და მდედრობითი სქესისთვის დამახასიათებელი დაბოლოებით, euse-ით ცვლის. შესაბამისად, ტექსტში არსებულ სიტყვას flâneuse ვთარგმნით, როგორც ფლანერი ქალი. ფლნერი, რომელიც ქალაქში მოსეირნე და მოხეტიალე საზოგადოებისგან განყენებულ, თუმცა ამავდროულად ურბანულ ცხოვრებაში ჩართულ დამკვირვებელ სუბიექტს წარმოადგენდა, ძირითადად მამაკაცების აღსანიშნად გამოიყენებოდა. ავტორი კი ამ ფენომენის ქალებზე განვრცობას flâneuse-ის გამოყენებით ცდილობს. (მთარგმნ. შენიშვნა)

ბრბოში შეუფერხებლად შერწყმა, ქუჩების თავისუფლად გადაჭრა და განყენებული, მაგრამ შემფასებლური დამკვირვებლობა ინდუსტრიული ქალაქების ზრდიდან მოყოლებული ჭეშმარიტ უბრანულ იდეალებად იქცა. ფლანერის ფიგურა, რომელიც შარლ ბოდლერის ნაწერებში თვალსაჩინოდ ჩნდება, არის ჯენტლმენი, რომელიც ქალაქის „ვნებიანი მაყურებელია“ და ცდილობს „ბრბოს მთლიანობის ნაწილად იქცეს“ , იყოს მოვლენების ცენტრში და ამავდროულად შეუმჩნეველი დარჩეს. ფილოსოფოსმა და ურბანული ცხოვრების აღმწერმა, ვალტერ ბენიამინმა ფლანერი კიდევ უფრო დააკრისტალა, როგორც თანამედროვე ქალაქის ძირითადი ურბანული პერსონაჟი, ხოლო უბრანულმა სოციოლოგებმა, მაგალითად, გეორგ ზიმელმა, განსაზღვრეს ისეთი თვისებები, როგორიცაა „გულგრილი დამოკიდებულება“ და ანონიმურობის უნარი, როგორც ახალი ურბანული ფსიქოლოგიის განუყოფელი ნაწილი. გასაკვირი არ არის, რომ ამ მწერლების ხედვის გათვალისწინებით, ფლანერი ყოველთვის წარმოდგენილი იყო, როგორც მამაკაცი, არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ის თეთრკანიანი და ფიზიკურად ჯანმრთელი იყო.

შეიძლებოდა თუ არა ფლანერი ქალი ყოფილიყო? ურბანული ფემინისტი მწერლები ამ საკითხში იყოფიან. ზოგი ფლანერის მოდელს განიხილავს, როგორც გამომრიცხავ ტროპს კრიტიკისთვის; სხვები კი, როგორც ფიგურას, რომელიც უნდა დაიბრუნონ. მათთვის, ვინც ამ იდეას უარყოფს, ქალები სრულად ვერასდროს გაექცევიან უხილავობას, რადგანაც გენდერი მათ მამაკაცის მზერის ობიექტებად აქცევს. სხვები ამბობენ, რომ ქალი ფლანერი ყოველთვის არსებობდა. ვინც ქალს ფლანერს უწოდებს, ისეთ მაგალითებზე მიუთითებს, როგორიცაა ვირჯინია ვულფი. ვულფის 1930 წლის ესეში „ქუჩის მოჩვენება: ლონდონური თავგადასავალი“, მთხრობელი უცხოების გონებაში შეღწევას წარმოიდგენს, როდესაც ლონდონის ქუჩებში დადის და ფიქრობს, რომ „გაქცევა უდიდესი სიამოვნებაა; ზამთარში ქუჩაში ხეტიალი უდიდესი თავგადასავალია“. ვულფი საკუთარ დღიურში წერდა, რომ „ლონდონში მარტო სიარული უდიდესი დასვენებაა“, რაც გულისხმობს, რომ მოძრავ ბრბოში მან სიმშვიდისა და განყენებულობის გარკვეული განცდა იპოვა. გეოგრაფმა სალი მუნტმა ლესბოსელი ფლანერის, როგორც ურბანული პერსონაჟის იდეა წამოაყენა, რომელიც გვერდს უვლის ჰეტეროსექსუალური მზერის ჩვეულ გზას და სიამოვნებას იღებს სხვა ქალებზე დაკვირვებისას.

ლორენ ელკინი საკუთარ წიგნში *„ფლანერი ქალი: ქალები ქალაქში სეირნობენ“*, ცდილობს ქალი ფლანერის უხილავი ისტორია აღადგინოს. ელკინი ამტიკცებს, რომ ქალები ქუჩებში ერთდროულად

ჰიპერხილულები და უხილავები იყვნენ. მუდმივად დაკვირვების ქვეშ, მაგრამ ურბანული ცხოვრების აღწერებიდან გამორიცხულები არიან. ის საკუთარ ახალგაზრდობაში ფლანერობის გამოცდილებას აღწერს პარიზის ქუჩებში, გაცილებით ადრე, სანამ ეცოდინებოდა, რომ ამ მოვლენას სახელი აქვს: „შემეძლო პარიზში საათობით მესეირნა და არსად 'მივსულიყავი', ქალაქის აგებულება დამენახა, აქა-იქ მის არაოფიციალურ ისტორიას ვუცქერდი... ვეძებდი ნარჩენებს, ტექსტურას, შეხვედრებს, შემთხვევებს და მოულოდნელ გამოხტომებს". ელკინი ხაზს უსვამს ისეთი  კაცების უუნარობას, როგორებიც არიან ბოდლერი, ბენიამინი და ზიმელი, წარმოიდგინონ ქალი ფლანერი, რაც მათი წინასწარგანწყობებით აიხსნება. საჯაროდ მოსიარულე ქალები, ალბათ, უფრო „გზაზე მომუშავეებად" (სექს-მუშაკები) აღიქმებოდნენ, ვიდრე ქალებად, რომლებსაც სხვა მიზნები აქვთ. თუმცა ელკინი წერს: „უკან თუ გავყვებით, აღმოვაჩენთ, რომ ფლანერი, რომელიც ბოდლერს ქუჩაში გვერდით ჩაუვლიდა, ყოველთვის არსებობდა,

მაინც უნდა ვიკითხო,  არის თუ არა ოდესმე ქალი ფლანერი ფეხმძიმე ან საბავშვო ეტლით მოსიარულე? არტისტისა და მეცნიერის, კატერი გლედისის ვიდეო „ეტლიანი ფლანერი" ("Stroller Flâneur") თამაშობს სიტყვაზე „stroller" (ფლანერის სინონიმი), როცა ის აღწერს, თუ როგორ მიაგორებს საბავშვო ეტლს გენსვილის, ფლორიდის სამეზობლოში. როგორც დედა ფლანერი, ის ეძებს „ნიმუშებსა და ნარატივებს არქიტექტურული და ტოპოგრაფიული სტრუქტურების გენეალოგიაში და ამავდროულად შვილისთვის საინტერესო ნივთებს ეძებს". გლედისი აცხადებს, რომ „საბავშვო ეტლით სეირნობა ნამდვილად არის ერთ-ერთი სოციალური პროცესი ქალაქის საჯარო სივრცეების ათვისებისა და ცხოვრებისთვის". მართალია, ვეთანხმები, და ვამტკიცებ, რომ საბავშვო ეტლით მოსიარულე დედები თავისებურად უხილავები არიან, თუმცა ჩვეულებრივ ისინი ფლანერის კლასიკურ ფიგურასთან არ ასოცირდებიან. თუნდაც ქალი ფლანერის არსებობის დაშვების შემთხვევაში, ის „ნორმალურ" სხეულს ინარჩუნებს, რომელსაც ქუჩებში შეუმჩნევლად გადაადგილება შეუძლია. არც ერთი მწერალი, რომელიც ფლანერობაზე საუბრობს, ორსულ სხეულს არ ახსენებს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა, ვინც ორსულია, ქალი არ არის (მაგ. ტრანსი მამაკაცები), ეს არის მდგომარეობა, რომელიც გენდერული დაშვებებით არის დახუნძლული. თუკი ფლანერის ქალური ვერსიის წარმოდგენაც კი ძნელი იყო, მაშინ ორსული ფლანერის იდეა, ალბათ, საზღვრებს მიღმაა.

**საჯარო სხეული**

შერევა და შერწყმა შეუძლებელია, როდესაც შენი სხეული უცებ საჯარო საკუთარებად იქცევა. მიუხედავად იმისა, რომ ქალები ჩვენი სხეულების შესახებ დაუკითხავი კომენტარებისა და ფიზიკური კონტაქტის ობიექტები ვართ, ორსულობასა და დედობას ეს შემოტევები ახალ სიმაღლეზე აჰყავს. ხალხი ჩემს გაბერილ მუცელს ისე აღიქვამდა, თითქოს მასზე ეწერა: „გთხოვთ აქ მომეფერეთ!“. ჩემგან ელოდნენ, რომ ყველანაირი არასასურველი რჩევა გულითადად მიმეღო და შესაბამისი რაოდენობის სირცხვილი და სინანული გამომეხატა, თუკი ხშირად წინააღმდეგობრივ „ექსპერტულ“ რჩევებს კვებაზე, სასმელზე, ვიტამინებზე, ვარჯიშზე, სამუშაოსა და სხვა საკითხებზე არ მივყვებოდი. მე აღარ ვიყავი ინდივიდი, რომელიც გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად იღებს. თითქოს ხალხი ჩემი ნებართვის გარეშე ორგანიზდებოდა.

ამ ყველაფერმა ჩემი სხეულის შესახებ ექსტრაორდინალურად ცნობიერი გამხადა, თუმცა არა დადებითი კუთხით. თუ ურბანისტის გულგრილი დამოკიდებულება სხვების მიმართ ისაა, რაც თითოეულ ჩვენგანს ბრბოში პრივატულობის განცდას ანიჭებს, მისმა დაკარგვამ თავი საჯაროდ მაგრძნობინა. ჩემი მუცლის ხილულობის გამო მრცხვენოდა, ცივილიზებულ საჯარო სივრცეში ჩემი ინტიმური ბიოლოგია იჭრებოდა. მე სიკაშკაშე კი არა, დამალვა მინდოდა. ჩემი ფეხმძიმობის დამალვას არ ვცდილობდი, მაგრამ თავმდაბლობისკენ ლტოლვამ შემიპყრო, რომელსაც ფემინისტური სხეულის ვერავითარი პოზიტიური აღქმა ვერ შეარყევდა. ჩემს გარდერობში არსებული უამრავი მოკლე პერანგის გამო მეგობრები დამცინოდნენ, მაგრამ ვერასდროს შევძელი ისეთი პერანგი ჩამეცვა, რომელიც მუცელს ოდნავ მაინც გამომიჩენდა. ვცდილობდი ბარიერი აღმემართა ჩემსა და ბევრ უცხო ადამიანს შორის, რომლებიც კომფორტულად გრძნობდნენ თავს ჩემი სხეულის შესახებ კომენტარების გაკეთებისას და მასთან შეხებისას? ჩემი დამაბნეველი სირცხვილის ნაწილი იყო, რომ აშკარა ბიოლოგიური ცხოველი ვიყავი? გონებისა და სხეულის კარტეზიანულ გაყოფას იმდენად დიდხანს ვეჭიდებოდი, რომ ჩემი სხეულის უეცარმა სიმტკიცემ ეჭვქვეშ დააყენა ყველაფერი, რაც საკუთარ თავზე ვიცოდი?

ალბათ ირონიულია, რომ ჩემი სხეულით უცხოების მოხიბვლა ურბანული თავაზიანობის მნიშვნელოვან ზრდაში არ გადათარგმნილა. ფაქტობრივად, მუდმივად ვგრძნობდი დაბალი ინტენსივობით იმის შეხსენებას, რომ ახლა განსხვავებული, სხვა ვიყავი და არ შევეფერებოდი გარემოს.

ეს ყველაზე აშკარა იყო მეტროში, სადაც პიკის საათის დროს მგზავრობისასაც იშვიათად მთავაზობდნენ ადგილს. მდიდრული გარეგნობის ბიზნესმენები განზრახ მალავდნენ სახეებს გაშლილ გაზეთებში, თითქოს ვერ მხედავდნენ. ერთხელ ჩემი ადგილი ჩემზე უფრო ორსულ ქალს დავუთმე, სანამ ვინმე რომელიმე ჩვენგანს შეამჩნევდა. ანა კვინდლენი იდენტურ ისტორიას ყვება ნიუ-იორკში ორსულობის შესახებ, სადაც თავისი ადგილი დაუთმო ქალს, რომელიც „ისე გამოიყურებოდა, თითქოს საავადმყოფოში უნდა წასულიყო“. „მიყვარს ნიუ-იორკი“, – წერს კვინდლენი, – მაგრამ ეს რთული ადგილია ორსულობისთვის... ნიუ-იორკში პირადულობა არ არსებობს; ყველა ერთმანეთზეა მიბჯენილი და ყველას აიძულებს თქვას, რასაც ფიქრობს“. ადამიანები, რომლებიც ორსულად ყოფილან, ამ ტიპის ისტორიებს იზიარებენ მწარე სიცილით, როგორც ომის ძველ ისტორიებს, როცა ქალაქში ორსულობა ინიციაციის რიტუალია. თითქოს ეს ყველაფერი მოსალოდნელია რადგან შენი არეული, მოუხექნელი სხეულით სახლიდან გამოსვლა გაბედე.

ქალი ფლანერის სულისკვეთების მცდელობები მედის დაბადების შემდეგ განვაახლე. კენგურუ ჩანთაში ჩემს მკერდზე მიკრულ მედის საათობით ეძინა. დავგეგმავდი მარშრუტს ახლადგახსნილ სტარბაქსამდე ჩემი ლონდონის სანდო A-Z რუკების წიგნით და გავდიოდი მარტივი სიამოვნებისთვის: ლატე და ახალი ხედები. ეს შესვენებები კვების, რწევის, ბანაობის და ა.შ. გამომფიტავ რუტინაში თავისუფლების პატარა მომენტებად შეიგრძნობოდა. თითქმის გამახსენდა, როგორი იყო ბავშვის ყოლამდე  ახალგაზრდა ადამიანად ყოფნა ქალაქში.

ზოგჯერ ეს გასვლები კარგად გამოდიოდა, ზოგჯერ - არა. ჩემი მცდელობები, ვყოფილიყავი დედა-ფლანერი მუდმივად წყდებოდა ახალშობილის არეული ბიოლოგიით. ადგილები, რომლებიც ადრე სტუმართმოყვარე და კომფორტული იყო, ახლა თავს უცხოდ მაგრძნობინებდა, უცხოპლანეტელად მჟონავი მკერდითა და ხმაურიანი, სუნიანი ბავშვით. რთულია განზე მდგომი დამკვირვებლის როლის შესრულება, როცა მშობლობის ხორციელი, განსხეულებული აქტები სრულად არის გამოფენილი. დამიჯერეთ, მინდოდა გულგრილი ვყოფილიყავი ამ ყველაფრის მიმართ. სანამ მედი თვლემდა, თითქმის შემეძლო წარმომედგინა, რომ სველ კატასტროფას წამები არ მაშორებდა. როცა მშიერი ან ჭუჭყიანი იღვიძებდა, საზოგადოებრივ ტუალეტში გავრბოდი, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ არავის მოუწევდა მშობლობის ბუნებრივი რეალობების მოწმე გამხდარიყო.

არასდროს გამიცნობიერებია, როგორი გამბედაობა სჭირდებოდა ისეთი რამის გაკეთებას, როგორიცაა საჯაროდ ძუძუთი კვება. რაციონალურად ვიცოდი, რომ „უფლება მქონდა“ ჩემი ბავშვი ნებისმიერ ადგილას მეკვება, მაგრამ ამაზე ფიქრი მაძრწუნებდა. ჩემი სხეულის მიმართ რეაქციების ორსულობისას განცდილი უცნაური ნაზავი მასწავლიდა, რომ ვერასდროს წინასწარ ვერ განვჭვრეტდი, როგორ მაგრძნობინებდნენ თავს. შემაძრწუნებელი იყო ერთდროულად თაყვანისცემისა და ზიზღის ობიექტად თავის გაცნობიერება. ვიყავი ღვთაებრივი ფიგურა, რომელსაც დაცვა სჭირდებოდა, მაგრამ ამავდროულად შეუფერებელი და სივრცის დამკავებელი, რაც სხვა ადამიანებს დისკომფორტს უქმნიდა. ის ფაქტი, რომ ახალი ამბები იმის შესახებ, თუ როგორ სთხოვენ ადამიანებს საჯარო ადგილების დატოვებას ძუძუთი კვების დროს, რეგულარულად ჩნდება - მიუხედავად იმისა, რომ ძუძუთი კვება კანადაში ადამიანის უფლებათა კანონებით არის დაცული - მიანიშნებს, რომ კვლავ არსებობს მყარი რწმენები მეძუძური მშობლების სათანადო ადგილის შესახებ.

როცა სწორად ვიქცეოდი, ჩემს მოუხერხებელ სხეულს ვაკავებდი და ბავშვს ისე ვუვლიდი, რომ ერთდროულად ათობით უცხო ადამიანი კმაყოფილი იყო, ვიღებდი ღიმილსა და დახმარებას; მაგრამ როგორც კი ზედმეტ ადგილს დავიკავებდი, ზედმეტად ვიხმაურებდი ან ხორციელებას ზედმეტი დოზით წარმოვაჩენდი, ვაწყდებოდი გაბრაზებულ მზერებს, ქედმაღლურ კომენტარებსა და ზოგჯერ ფიზიკურ აგრესიასაც კი. იყო კაცი, რომელიც განუწყვეტლივ მეჯახებოდა სასურსათო მაღაზიის რიგში. როცა ვთხოვე შეეწყვიტა, მითხრა: „წაიღე შენი წყეული ეტლი აქედან“. იყო ქალი უკიდურესად გადატვირთულ ავტობუსში, რომელმაც ცუდი დედა მიწოდა, რადგან მედიმ შემთხვევით ფეხზე დააბიჯა. იყო გამყიდველი ტორონტოს უნივერმაღში, რომელმაც მითხრა დავლოდებოდი, სანამ მომხმარებელს მოემსახურებოდა, როცა დახლთან მივვარდი იმიტომ, რომ მედი თვალს მიეფარა. ის, რა თქმა უნდა, იპოვეს, მაგრამ მხოლოდ სხვა დედის წყალობით, რომელიც მოქმედებაში ჩაერთო, როცა ჩემს ხმაში პანიკა შენიშნა.

უზრდელობის ასეთ დონეს ყოველდღე არ ვაწყდებოდი, მაგრამ ამ სოციალური მტრობის საფუძველი ის ფაქტი იყო, რომ თავად ქალაქი, მისი ფორმა და ფუნქცია ჩემს ცხოვრებას შემაძრწუნებლად ართულებდა. მიჩვეული ვიყავი გარემოს გაცნობიერებას უსაფრთხოების თვალსაზრისით, რაც გაცილებით მეტად უკავშირდებოდა იმას, თუ ვინ იყო გარემოში, ვიდრე თავად გარემოს. ახლა კი, ქალაქი თითქოს ჩემზე ნადირობდა. ბარიერები, რომლებსაც ჩემი ჯანმრთელი, ახალგაზრდული მე

არასდროს შეხვედრია, უცებ ყოველ მოსახვევში მეჯახებოდა. თავისუფლება, რასაც ქალაქი ოდესღაც წარმოადგენდა, შორეულ მოგონებად ქცეულიყო.

**ქალის ადგილი**

როდესაც დედა გავხდი, ყოველდღიური რუტინის უჩვეულო წესრიგთან შეგუებას ვცდილობდი, ქალაქი ფიზიკურ ძალად იქცა, რომელთანაც მუდმივად ბრძოლა მიწევდა. განა ქალაქი არ უნდა ყოფილიყო ის ადგილი, სადაც ქალებს შეეძლებოდათ სოციალური რეპროდუქციის, ანაზღაურებადი სამუშაოს, სწავლისა და სხვა მრავალის მოთხოვნების შეთავსება? განა ჩემმა სადოქტოროს ხელმძღვანელმა არ განაცხადა, რომ „ქალის ადგილი ქალაქშია“? თუ ეს მართალი იყო, რატომ ჰგავდა ყოველი დღე ბრძოლას უხილავ, მაგრამ ყველგან მყოფ მტერთან?

მართალია, შემეძლო ფეხით მისვლა სასურსათო მაღაზიამზე, კაფემდე, პარკებამდე და სხვა მრავალ საჭირო ადგილამდე; შემეძლო საზოგადოებრივი ტრანსპორტით მესარგებლა უნივერსიტეტამდე მისასვლელად და უახლოესი მეტროს სადგურიც ფეხით სავალ მანძილზე იყო; არსებობდა საზოგადოებრივი ცენტრები და სკოლები პატარა ბავშვებისთვის განკუთვნილი პროგრამებით; მედის საბავშვო ბაღი გონივრულად ახლოს მდებარეობდა; მანქანის გარეშე ფუნქციონირება შემეძლო; გარეუბნებთან შედარებით, ასეთი ურბანული სიმჭიდროვე მშობლობის, სადოქტორო სწავლებისა და საოჯახო მოვალეობების შეთავსების... სინამდვილეში, გერდა ვეკერლე (ჩემი ხელმძღვანელი) სწორედ გარეუბნული ცხოვრების კოშმარს ეხმიანებოდა, როდესაც 1980-იან წლებში დაწერა „ქალის ადგილი ქალაქშია“.

რა თქმა უნდა, გარეუბნების ფემინისტური კრიტიკის ხანგრძლივი ისტორია არსებობს. ბეტი ფრიდანის 1963 წლის დიაგნოზი „პრობლემა, რომელსაც სახელი არ აქვს“ მოიცავდა გარეუბნული ცხოვრების მწვავე კრიტიკას:

> „ყოველი გარეუბნელი ცოლი მარტო ებრძვის ამას. როდესაც ის აწესრიგებდა საწოლებს, ყიდულობდა საკვებს, არჩევდა გადასაკრავ მასალას, ჭამდა არაქისის კარაქის სენდვიჩებს თავის შვილებთან ერთად, ატარებდა სკაუტებსა და ბრაუნის, წვებოდა ღამით ქმრის გვერდით, მას ეშინოდა საკუთარი თავისთვისაც კი დაესვა ჩუმი კითხვა - სულ ეს არის?“

„სტეპფორდის ცოლებიდან“ „სასოწარკვეთილ დიასახლისებამდე“, „სარეველადან“ „შეშლილ კაცებამდე“ – გარეუბნულმა ცხოვრებამ უამრავი სტერეოტიპი წარმოშვა. ვალიუმზე დამოკიდებული

დიასახლისი, ზედმეტად მზრუნველი დედა, დიასახლისი ბნელი საიდუმლოთი და ა.შ. გასაკრიტიკებლად უამრავი რამ არსებობს ცხოვრების სტილის, გენდერული როლების, რასობრივი და კლასობრივი უთანასწორობის თვალსაზრისით. თუმცა, ფემინისტი გეოგრაფები ასევე აკვირდებოდნენ თავად გარეუბნების მატერიალურ მხარეს, მათ ფორმას, დიზაინსა და არქიტექტურას, როგორც ფუნდამენტურ წყაროებს „პრობლემისა, რომელსაც სახელი არ აქვს“.

დღესდღეობით გარეუბნებს, ძირითადად, აღვიქვამთ, როგორც დიდი ქალაქების ორგანულ გაფართოებას და მეტი სივრცისა და უფრო დიდი საოჯახო სახლების ბუნებრივი საჭიროების შედეგს. თუმცა, გარეუბნები სულაც არ არის ბუნებრივი მოვლენა. გარეუბნული განვითარება ძალიან კონკრეტულ სოციალურ და ეკონომიკურ მიზნებს ემსახურებოდა. დაბრუნებული ჯარისკაცებისა და მათი მზარდი ოჯახებისთვის საჭირო საცხოვრებლის უზრუნველყოფიდან დაწყებული, ომის შემდგომი წარმოების სექტორის სტიმულირებით დამთავრებული, გარეუბნები იყო ეკონომიკური ზრდის შენარჩუნების გეგმის აუცილებელი კომპონენტი, განსაკუთრებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ჩრდილოეთ ამერიკაში სახლის მფლობელობის ხელშემწყობმა სამთავრობო პროგრამებმა ჩვენ მესაკუთრეთა ერებად გვაქცია, რითაც მუშები თავიანთ იპოთეკებს მიაბა, იმ მოსაზრებით, რომ ეს უფრო კონსერვატიულ და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ანტიკომუნისტურ საზოგადოებას შექმნიდა. საცხოვრებელი უძრავი ქონების სექტორი მეოცე საუკუნის ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტად იქცა - იმდენად მნიშვნელოვნად, რომ როდესაც 2007 წელს აშშ-ის საბინაო სექტორი სარისკო სესხების პრაქტიკით შეირყა, ამან გლობალური ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია. შესაძლოა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფემინისტი არქიტექტორი, დოლორეს ჰეიდენი აღნიშნავს: „ერთოჯახიანი გარეუბნული სახლები განუყოფელი გახდა [ჩრდილოეთ] ამერიკული ოცნებისგან, ეკონომიკური წარმატებისა და სოციალური მობილობისგან. მათი არსებობა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა ასპექტში იგრძნობა“.

გარეუბნების განვითარების ეკონომიკური როლი მართლაც უმნიშვნელოვანესი იყო, თუმცა არსებობდა სოციალური დღის წესრიგიც, რომელმაც უზარმაზარი გავლენა მოახდინა რასობრივ და გენდერულ ურთიერთობებზე. აშშ-ში მეორე მსოფლიო ომის შემდგომი გარეუბნების ბუმი დაემთხვა პერიოდს, როდესაც მილიონობით აფრო-ამერიკელი ტოვებდა სამხრეთის სოფლებს ჩრდილოეთის ინდუსტრიულ ქალაქებში უკეთესი შესაძლებლობების საძიებლად. ამ ქალაქებში შავკანიანი

მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ „პროგრესული“ ჩრდილოეთის ტოლერანტული დამოკიდებულება გამოსცადა. ბევრმა თეთრკანიანმა ოჯახმა არჩია გარეუბნებში გადასვლა. ეს ფენომენი ცნობილი გახდა, როგორც „თეთრი გაქცევა“. მართლაც, ბევრი ადრეული მასობრივი წარმოების გარეუბანი, როგორიცაა ცნობილი ლევიტთაუნები, „მხოლოდ თეთრებისთვის“ იყო განკუთვნილი. გრძელვადიან პერსპექტივაში, ამ მოდელმა განაპირობა არათეთრკანიანი თემების შემოფარგვლა დაზიანებულ, არასაკმარისად დაფინანსებულ და ჭარბი პოლიციით კონცენტრირებულ შიდა ქალაქში, სადაც მათ ეზღუდებოდათ საკუთარი სახლის ფლობის გზით სიმდიდრის დაგროვების შესაძლებლობა. ოცდამეერთე საუკუნეშიც კი ეს არის რასობრივი სეგრეგაციისა და ქონებრივი უთანასწორობის ურბანული მოდელების გაგრძელების მთავარი ფაქტორი.

თუ გარეუბნული განვითარების რასობრივი შედეგები დღემდე გრძელდება, ასევეა გენდერული შედეგებიც. ჰეიდენი ამას ლაკონიურად აყალიბებს: „დეველოპერები ამტკიცებდნენ, რომ განსაკუთრებული ტიპის სახლი დაეხმარებოდა ვეტერანს აგრესიული მფრინავიდან მოგზაურ გამყიდველად გარდაქმნილიყო, რომელიც გაზონს კრეჭს. ეს სახლი ასევე დაეხმარებოდა ქალს გარდაქმნილიყო რივეტერის როზიდან სახლში მჯდომ დედად“, ომის შემდგომი პროპაგანდა პირდაპირ საუბრობდა ქალების მიერ ომის პერიოდის ქარხნის სამუშაოების დათმობის აუცილებლობაზე დაბრუნებული კაცებისთვის, გარეუბნული სახლი კი იდეალური „გამოსავალი“ იყო ნორმატიული გენდერული როლების აღსადგენად. საჯარო-პირადი, ანაზღაურებადი-არაანაზღაურებადი სამუშაოს გაყოფა სქესებს შორის შეიძლებოდა „ბუნებრივად“ აღდგენილიყო.

გარეუბნული ცხოვრების სტილი სწორი ფუნქციონირებისთვის გულისხმობდა და მოითხოვდა კიდეც ჰეტეროსექსუალურ ტრადიცულ (ნუკლეარულ) ოჯახს, სადაც ერთი ზრდასრული სახლის გარეთ მუშაობდა, მეორე კი - შინ. საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და სხვა სერვისებისგან იზოლირებული დიდი სახლები, მოითხოვდა სახლში მჯდომი ცოლისა და დედის სრულ განაკვეთზე მუშაობას საოჯახო მზრუნველის როლში, სახლის ზედამხედველობას და ოჯახის მარჩენალისა და ბავშვების საჭიროებების მართვას. როგორც ფემინისტი მგეგმავი შერილინ მაკგრეგორი აღნიშნავს, ამ ფორმამ „შექმნა მყარი ინფრასტრუქტურა [გენდერული] შრომის განაწილებისთვის“, რომელიც წინასწარ გულისხმობს ტრადიციულ ჰეტეროსექსუალურ ოჯახს.

ჰეიდენი ამტკიცებს, რომ მხოლოდ შინამეურნეობების მცირე ნაწილი მოიცავს კაც მარჩენალს/უმუშევარ დიასახლისს არასრულწლოვანი შვილებით. მართლაც, ეს მოდელი, სავარაუდოდ, ყოველთვის შინამეურნეობების მცირე ნაწილს წარმოადგენდა და იშვიათად ასახავდა შავკანიანი და მუშათა კლასის ქალების ცხოვრებას. და მაინც, გაბატონებული საცხოვრებელი ლანდშაფტი ამ იდეალისთვისაა დაპროექტებული. რადგანაც აშენებული გარემო ხანგრძლივი დროის განმავლობაში მდგრადია, ჩვენ დავრჩით სივრცეებთან, რომლებიც ასახავს მოძველებულ და არაზუსტ სოციალურ რეალობებს. ეს, თავის მხრივ, აყალიბებს ადამიანების ცხოვრების სტილს და განსაზღვრავს, რა არჩევანი და შესაძლებლობები აქვთ მათ.

ამ საკითხზე ჩემი არცთუ იშვიათად გაბრაზებული მსჯელობის დროს, ერთმა მეგობარმა დამადანაშაულა, რომ გარეუბნებს ამ მაგალითს „ზედმეტ აგენტობას“ ვანიჭებდი. ამიტომ დავაზუსტებ: გარეუბნები შეგნებულად არ ცდილობენ ქალების სამზარეულოში შენარჩუნებასა და სამუშაო ადგილებიდან მოშორებას, მაგრამ იმ დაშვებების გათვალისწინებით, რომლებზეც ეს ფენომენი დგას, გარეუბნები აქტიურად (თუმცა არა აგენტურად) აფერხებს სხვადასხვა ფორმის ოჯახებისა და სამუშაო ცხოვრების მართვის მცდელობებს. იზოლაცია, საოჯახო სახლის ზომა, მრავალი სატრანსპორტო საშუალების საჭიროება და ბავშვის მოვლის მოთხოვნები კვლავ უბიძგებს ქალებს სამუშაო ადგილების დატოვებისკენ ან დაბალანაზღაურებად, ნახევარ განაკვეთზე სამუშაოებზე გადასვლისკენ, რაც მათ, ძირითადად, მხოლოდ გარეუბნული ცხოვრების პასუხისმგებლობების შეთავსების საშუალებას აძლევს. კაცი მარჩენალი იშვიათად სწირავს ან ზღუდავს საკუთარ კარიერას. ბოლოს და ბოლოს, ხანგრძლივი გენდერული სახელფასო სხვაობის გათვალისწინებით, აზრი არ აქვს კაცის შემოსავლის პოტენციალის შეზღუდვას. ამგვარად, გარეუბნები აგრძელებს გარკვეული ტიპის გენდერული როლების მხარდაჭერასა და ნატურალიზაციას ჰეტეროსექსუალურ ოჯახში და შრომის ბაზარზე.

**ქალაქის გამოსწორება**

გერდა ვეკერლე და სხვა მრავალი მკვლევარი ამტკიცებდნენ, რომ გარეუბნებთან შედარებით, ქალაქები გაცილებით უკეთეს პერსპექტივებს სთავაზობდა სახლს გარეთ მომუშავე ქალებს, რომლებსაც სხვადასხვა კონფლიქტური როლის შეთავსება უწევდათ. ვეკერლე ამტკიცებს, რომ ქალების მიერ მართული ოჯახებისთვის „მათი გადარჩენაც კი“ დამოკიდებულია „სოციალური

სერვისების ფართო ქსელზე, რომელიც ხშირად მხოლოდ ცენტრალურ საქალაქო ზონებში გვხვდება“. 1970-იან და 1980-იან წლებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ქალები ქალაქს უფრო ინტენსიურად იყენებენ, ვიდრე კაცები; არიან „უფრო მეტად ჩართულები სამუშაო, სამეზობლო და კულტურულ აქტივობებში, ვიდრე გარეუბნელი ქალები და ამ შესაძლებლობების უმეტესობა იკარგება, როდესაც ისინი გარეუბნებში გადადიან საცხოვრებლად“. 1960-იანი წლების დასაწყისში, ურბანული დაგეგმარების ცნობილმა კრიტიკოსმა ჯეინ ჯეკობსმა ეჭვქვეშ დააყენა გაბატონებული იდეა, რომ გარეუბნები კარგი ადგილი იყო ქალებისა და ბავშვებისთვის. მან ხაზი გაუსვა იზოლაციას, ქუჩებში ხალხის ნაკლებობას და ავტომობილზე დამოკიდებულებას, როგორც პრობლემებს, რომლებიც განსაკუთრებით ქალებზე ახდენდა გავლენას და ამავდროულად, ხელს უწყობდა საჯარო სივრცის ზოგად დეგრადაციას.

თუმცა, ამ პრობლემებისთვის ქალაქი ჯადოსნური გამოსავალი არ არის. თუ გვერდზე გადავდებთ საკითხს იმის შესახებ, არის თუ არა ქალებისთვის არაპროპორციული საოჯახო ტვირთის გაადვილება საბოლოო მიზანი, ქალაქებში მაინც მრავალი ბარიერი არსებობს. ქალაქები იგივე სახის ნავარაუდევ სოციალურ ნორმებსა და ინსტიტუტებზეა დაფუძნებული, როგორც გარეუბნები. გეოგრაფი კიმ ინგლანდი წერს, რომ გენდერული როლები „გაქვავებულია სივრცის კონკრეტულ გამოვლინებაში. შესაბამისად, საცხოვრებელი არეალების, სამუშაო ადგილების, სატრანსპორტო ქსელებისა და ზოგადად, ქალაქების საერთო განლაგება პატრიარქალური კაპიტალისტური საზოგადოების მოლოდინებს ასახავს იმის შესახებ, თუ რა სახის აქტივობები სად, როდის და ვის მიერ უნდა განხორციელდეს“. ურბანული დაგეგმარების ყველა ფორმა ეყრდნობა „ტიპური“ ქალაქელი მოქალაქის შესახებ დაშვებების ერთობლიობას: მათი ყოველდღიური მგზავრობის გეგმები, საჭიროებები, სურვილები და ღირებულებები. გასაოცარია, მაგრამ ეს მოქალაქე კაცი, ოჯახის მარჩენალი ქმარი და მამაა, ფიზიკურად ჯანმრთელი, ჰეტეროსექსუალი, თეთრკანიანი და სისგენდერი. ეს ნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქალაქებს მრავალი უპირატესობა აქვთ გარეუბნებთან შედარებით, ისინი ნამდვილად არ აშენებულა ქალების „ორმაგი ცვლის“ - ანაზღაურებადი და აუნაზღაურებელი შრომის  უკეთ მართვის მიზნით.

ამის ულუსტრაციად გამოდგება საზოგადოებრივი ტრანსპორტი, განსაკუთრებით გარეუბნების აღმავლობის შემდეგ. ქალაქის საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემების უმეტესობა

დაპროექტებულია ცხრიდან ხუთ საათამდე მომუშავე ოფისის თანამშრომლის გრაფიკისა და ტიპური პიკის საათების გათვალისწინებით. ის მცირე ტრანსპორტიც კი, რაც გარეუბნებში არსებობს, განკუთვნილია ამ მგზავრის კონკრეტული მიმართულებით კონკრეტულ დროს გადასაყვანად. მთელი სისტემა გულისხმობს წრფივ მგზავრობას გადახვევებისა და მრავალჯერადი გაჩერების გარეშე და ეს საკმაოდ კარგად მუშაობდა ჩვეულებრივი კაცი მგზავრისთვის.

თუმცა, კვლევები აჩვენებს, რომ ქალების მგზავრობა ხშირად უფრო კომპლექსურია, რაც ასახავს ანაზღაურებადი და აუნაზღაურებელი შრომის მრავალშრიან და ზოგჯერ კონფლიქტურ მოვალეობებს. დედა ორი პატარა ბავშვით იყენებს ადგილობრივ ავტობუსს ერთი ბავშვის საბავშვო ბაღში დასატოვებლად, როცა ის რვა საათზე იხსნება, შემდეგ უკან ბრუნდება თავის მარშრუტზე მეორე ბავშვის სკოლაში დასატოვებლად ცხრის ნახევარზე. ის ჯდება მატარებელში, სამსახურში ცხრა საათისთვის მისვლა უნდა მოასწროს. უკან დაბრუნებისას მარშრუტი საპირისპიროდ მეორდება, დამატებითი გაჩერებით სადილისთვის საჭირო ინგრედიენტებისა და საფენების შესაძენად. ახლა უკვე ამანათებით, საბავშვო ეტლითა და ბავშვით დატვირთული, ის გზას გადატვირთულ ავტობუსში მიიკვლევს, რომ საბოლოოდ სახლში დაბრუნდეს. ბევრი სატრანსპორტო სისტემა აიძულებს მას რამდენჯერმე გადაიხადოს თავისი და ბავშვების მგზავრობის საფასური. თუ გარეუბანში ცხოვრობს, შესაძლოა სხვადასხვა მუნიციპალურ სისტემებასთან წვდომისთვისაც კი მოუწიოს გადახდა. ბოლოდროინდელმა კვლევებმა აჩვენა, რომ ტრანსპორტი კიდევ ერთი სფეროა, სადაც ქალები „ვარდისფერ გადასახადს' იხდიან (იხდიან მეტს მსგავს სერვისებში, ვიდრე კაცები). ქალები უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, ვიდრე კაცები, მიუხედავად იმისა, რომ ის მათ უფრო ცუდად ემსახურება. სარა კაუფმანის კვლევამ აჩვენა, რომ მაგალითად, ნიუ-იორკში ქალებს, რომლებიც ბავშვების მთავარი მომვლელები არიან, შესაძლოა თვეში სამოცდათექვსმეტი დოლარით მეტი უჯდებოდეთ სატრანსპორტო ხარჯები.

როდესაც დედა გავხდი, სწრაფად მივხვდი, რომ ლონდონში საზოგადოებრივი ტრანსპორტით საბავშვო ეტლით სარგებლობა შეუძლებელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მეტროს ბევრ სადგურს აქვს ლიფტი, რადგან სადგურები ძალიან ღრმადაა მიწისქვეშ, ორას სამოცდაათი სადგურიდან მხოლოდ ორმოცდაათია ხელმისაწვდომი. მოხვეული კიბეები, შემთხვევითი საფეხურები, ციცაბო ესკალატორები, მკვეთრი მოსახვევები, ვიწრო გვირაბები და, რა თქმა უნდა, ათასობით მგზავრი და

ტურისტი სისტემაში ნავიგაციას თავგადასავლად აქცევს. ახალშობილ მედისთან ერთად პირველი დიდი გასვლა საბავშვო გამოფენა იყო (როგორც სახლის გამოფენა, ოღონდ საბავშვო ნივთებით). გვქონდა დიდი, კომფორტული საბავშვო ეტლი, იმ ტიპის, რომელიც ჯერ კიდევ გავრცელებულია გაერთიანებულ სამეფოსა და ევროპაში და რომელიც საქველმოქმედო მაღაზიაში ვიპოვეთ. შეიძლებოდა კოსმოსური ხომალდიც ყოფილიყო, იმდენად შეუსაბამო იყო ჩვენი მოგზაურობისთვის. ეს იყო პირველი და უკანასკნელი შემთხვევა, როცა ეს ეტლი გამოვიყენეთ. ვისწავლეთ, რომ ქალაქში ბავშვთან ერთად გადაადგილების ერთადერთი ხელმისაწვდომი გზა იყო მისი ტარება სპეციალურ სატარებელში.

ტორონტოში დაბრუნების შემდეგ, მედი სწრაფად იზრდებოდა და ბავშვის სატარებლისთვის ძალიან დიდი ხდებოდა. შეუძლებელი იყო TTC-ში [ტორონტოს საზოგადოებრივი ტრანსპორტი] ეტლის გარეშე მგზავრობის თავიდან არიდება. იმ დროს, ჩემს არცერთ ადგილობრივ სადგურს არ ჰქონდა ლიფტები ან თუნდაც ქვევით მიმავალი ესკალატორები. ყოველ ჯერზე, როცა კიბეზე ჩასვლა მინდოდა, უნდა ვმდგარიყავი კიბის თავში და დახმარების შეთავაზებას დავლოდებოდი. ჩვენ უხერხულად და გარკვეულწილად სახიფათოდ ვათრევდით ეტლს, ზედმეტად დიდ ადგილს ვიკავებდით და ყველას ვაფერხებდით. როცა მედი საკმარისად გაიზარდა, გადავიყვანე ყველაზე კომპაქტურ ეტლში, რომელიც საკმარისად მსუბუქი იყო წელზე დასაკიდებლად. იდეალური გამოსავალი ესეც არ იყო, მაგრამ იმ შემთხვევას ჯობდა, როცა ერთმა კაცმა დაჟინებით მოინდომა დახმარება და საბოლოოდ კიბეზე უკან გადავარდა. საბედნიეროდ, ეტლს  ხელი გაუშვა, სანამ თორმეტ საფეხურზე უკანალით ჩამოგორდებოდა. შემრცხვა, თუმცა საბოლოოდ ის არ დაშავებულა. ახალგაზრდა დედა მალაიზია გუდსონი ასეთი იღბლიანი არ აღმოჩნდა. ის გარდაიცვალა ნიუ-იორკის მეტროს სადგურის კიბეებზე წაბორძიკების შემდეგ, როცა თავისი ქალიშვილი ეტლით მიჰყავდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი სიკვდილი მხოლოდ დაცემის შედეგი არ ყოფილა, ეს სახიფათო მომენტი ხაზს უსვამს „კოშმარულ სცენარს“, რომლის რისკის წინაშეც მშობლები ყოველდღე დგანან მიუწვდომელ და გადატვირთულ საზოგადოებრივ ტრანსპორტში.

არქიტექტორი და ახალბედა დედა კრისტინ მიურეი კითხულობს „როგორი იქნებოდა ქალაქები, დედებს რომ დაეპროექტებინათ“? სატრანსპორტო საკითხები მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მის მსჯელობაში. იხსენებს, როგორ ტიროდა, როდესაც მეტროს უახლოეს სადგურს ლიფტის გარეშე

არემონტებდნენ. ასევე წუხს ავტობუსებში ეტლებისთვის ადგილის ნაკლებობაზე, აკავშირებს დედების ხელმისაწვდომობის ნაკლებობას ხანდაზმულებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების პრობლემებთან. საზოგადოებრივი ტრანსპორტის ყველა ასპექტი მახსენებდა, რომ მე არ ვიყავი წარმოსახვითი იდეალური მომხმარებელი. კიბეები, მბრუნავი კარები, ტურნიკეტები, ეტლებისთვის ადგილის არარსებობა, გაფუჭებული ლიფტები და ესკალატორები, უხეში კომენტარები, მზერა: ყველაფერი ეს მეუბნებოდა, რომ ქალაქი მშობლებისა და ბავშვების გათვალისწინებით დაპროექტებული არ იყო. მორცხვად გავაცნობიერე, რომ სანამ ამ ბარიერებს წავაწყდებოდი, იშვიათად ვფიქრობდი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების ან ხანდაზმულების გამოცდილებაზე, რომლებისთვისაც ქალაქი კიდევ უფრო ნაკლებად არის ადაპტირებული. თითქოს ვარაუდობენ, რომ არ გვინდა ან არ გვჭირდება წვდომა სამუშაოზე, საჯარო სივრცეზე ან საქალაქო სერვისებზე. უმჯობესია დავრჩეთ ჩვენს სახლებსა და დაწესებულებებში, სადაც ჩვენი ადგილია.

იდეა იმის შესახებ, რომ მასობრივი სატრანსპორტო სისტემების დიზაინი, დაფინანსება და განრიგი გენდერული თანასწორობის საკითხებია, ნაკლებად პოპულარულია, მიუხედავად იმისა, რომ ტრანსპორტი ქალების ურბანული აქტივიზმის მთავარი სფეროა. 1976 წელს ჩრდილოეთის ქალაქ უაითჰორსში ქალებმა შექმნეს იუკონის პირველი მასობრივი სატრანსპორტო სისტემა (ოთხი მინი-ავტობუსი), როგორც პასუხი კარგ ანაზღაურებად სამუშაოზე წვდომის ნაკლებობაზე, რომლის წინაშეც ქალები იდგნენ ცივ, გაფანტულ ქალაქში. 2019 წელს სამხრეთ დელის ჯურღმულების გადასახლების კოლონიიდან ახალგაზრდა ქალებმა ჩაწერეს რეპ სიმღერა მათი ურბანული ცხოვრების შესახებ, სადაც ერთ-ერთ მთავარ პრობლემას, „უსაფრთხო და ხელმისაწვდომი მგზავრობის არარსებობას“ ეხებიან. უმეტესწილად, მასობრივი სატრანსპორტო სისტემების მმართველებმა განზრახ გამოავლინეს უვიცობა ქალების საჭიროებების მიმართ. 2014 წელს ლონდონში, როდესაც ორსული მგზავრი, რომელიც სამსახურში მიდიოდა და ბრუნდებოდა, იძულებული გახდა იატაკზე მჯდარიყო, როცა მგზავრებმა უარი უთხრეს ადგილის დათმობაზე პირდაპირი თხოვნის მიუხედავად, მან სარკინიგზო კომპანიას უჩივლა. მათ შესთავაზეს, რომ თუ თავს ცუდად გრძნობდა, შეეძლო საგანგებო ზარის ღილაკი გამოეყენებინა ან უბრალოდ თავი აერიდებინა პიკის საათებში მგზავრობისთვის.

**დედობის ჯენტრიფიკაცია**

როდესაც ტორონტოში დავბრუნდით, ქირის სიძვირემ ცენტრალური ქალაქიდან უფრო შორს გადამისროლა, ვიდრე მსურდა, მაგრამ მაინც მქონდა გარკვეული წვდომა მაღაზიებსა და სერვისებზე ჩემს უბანში, ხომ? მართალია, მაგრამ თანდათან გავაცნობიერე, ეს კომფორტი ნაწილობრივ გამომდინარეობდა იმ ფაქტიდან, რომ ჩემი უბანი ჯენტრიფიკაციის ადრეულ ეტაპზე იყო. ჯენტრიფიკაცია, ძირითადად, არის პროცესი, როდესაც მუშათა კლასის, დაბალშემოსავლიან უბნებს საშუალო კლასის შინამეურნეობები და ბიზნესები იკავებენ. არსებობს ჯენტრიფიკაციის მრავალი მიზეზი და ფორმა, მაგრამ ჩემი უბანი - ჯანქშენი - განიცდიდა ერთგვარ წყვეტილ, ნელ ტრანზიციას, როდესაც პირველად გადავედი იქ 2000 წლის დასაწყისში. ჩემი ადგილობრივი „კომფორტი“ მოიცავდა Blockbuster Video-ს და No Frills სასურსათო მაღაზიას. იყო რამდენიმე სათამაშო მოედანი, მაგრამ სულ მცირე ერთი ხშირად სავსე იყო ნაგვითა და ნემსებით. ჯერ კიდევ შემეძლო ფეხით მისვლა მთავარ კომერციულ ქუჩამდე ჩვენი ძირითადი საჭიროებებისთვის, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყო ძალიან ძვირი.

ჯენტრიფიკაციის შესახებ ადრეული ფემინისტური ნაშრომები აღნიშნავდა, რომ საშუალო კლასის ოჯახების „ქალაქში დაბრუნების“ მოძრაობა მუშაობს როგორც გეოგრაფიული გამოსავალი იმ პრობლემებისთვის, რომლებსაც ქალები აწყდებიან სამსახურისა და სახლის შეთავსებისას. როცა ქალები სულ უფრო მეტი რაოდენობით შედიოდნენ მაღალანაზღაურებად პროფესიულ სამუშაო ძალაში, გადადებდნენ ქორწინებისა და შვილის გაჩენის ასაკს და ზოგჯერ საერთოდაც უარს ამბობდნენ ჰეტეროსექსუალურ ოჯახზე, ისინი ეძებდნენ ურბანულ გარემოს, რომელიც მოერგებოდა მათ საჭიროებებს და უზრუნველყოფდა აუცილებელ სერვისებს. როგორც ფემინისტი გეოგრაფი უინიფრედ კურანი აღნიშნავს, „ქალები არა მხოლოდ ჯენტრიფიკაციის პოტენციური ბენეფიციარები იყვნენ, არამედ პროცესის მამოძრავებელი ძალაც“. თეორეტიკოსები ვარაუდობდნენ, რომ სამუშაო ძალის, ოჯახისა და საცხოვრებლის ამ გენდერული ტენდენციებს აუცილებლად მოჰყვებოდა მნიშვნელოვანი ცვლილებები ქალაქების მიწათსარგებლობის მოდელებში. თუმცა, არ მომხდარა ფუნდამენტური ცვლილებები, რომლებიც რეალურად შეცვლიდა ქალაქს ისე, რომ ქალთა თანასწორობას მომსახურებოდა. მართლაც, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ბევრმა ცვლილებამ, მათ შორის ფართოდ გავრცელებულმა ჯენტრიფიკაციამ, ურბანული გარემო ნაკლებად რესურსული გახადა ქალების უმრავლესობისთვის.

ჯენტრიფიცირებული უბნები იზიდავს კომფორტს, რომელიც ემსახურება საშუალო კლასის მშობლებს: სუფთა პარკები, კაფეები, წიგნის მაღაზიები, ადგილები ახალი და ჯანსაღი საკვების საყიდლად და ა.შ. ისინი ხშირად მდებარეობს კარგი სატრანსპორტო მარშრუტების ახლოს და კონცენტრირებულია კარგი სკოლების გარშემო, განსაკუთრებით გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-ში. კურანის თანახმად:

„ჯენტრიფიკაციამ შექმნა პოტენციური ბაზარზე ორიენტირებული, ინდივიდუალიზებული, პრივატიზებული სივრცითი გამოსავალი სამუშაოსა  და ცხოვრების ბალანსის პრობლემისთვის. მაშინ, როცა ურბანული დაგეგმარება ვერ ეწეოდა ქალაქის მცხოვრებთა ყოფით გამოცდილებას, მათ, ვისაც შეეძლო, იპოვეს უფრო ხელსაყრელი სივრცეები ბალანსის მოსაძებნად, 'ხელახლა აღმოაჩინეს' შიდა ქალაქის უბნები, რომლებიც სთავაზობდა მარტივ წვდომას ცენტრში მდებარე სამსახურებსა და სხვა კომფორტზე“.

მაგრამ კურანი აგრძელებს და აღნიშნავს, რომ ჯენტრიფიკაციით მოტანილი კლასობრივი უპირატესობებიც კი ფუნდამენტურად არ არღვევს არც საოჯახო შრომის გენდერულ დაყოფას და არც ურბანულ ინფრასტრუქტურას, რომელიც დაპროექტებულია კაცების გადაადგილებისა და სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით. ის ამტკიცებს, და მე ვეთანხმები: „შეძლებული ფენისთვის ურბანული ცხოვრების ნარატივს ტენდენცია აქვს დააკნინოს ან საერთოდ უგულებელყოს ზრუნვისა და ოჯახის როლი ურბანულ დიზაინში“. სათამაშო სივრცეების, სკოლამდელი დაწესებულებებისა და ზოგჯერ სასურსათო მაღაზიების არარსებობა ახალი ურბანული საცხოვრებელი კომპლექსების, მაგალითად კონდომინიუმების სიახლოვეს, მიანიშნებს, რომ დამგეგმავები და პოლიტიკის შემქმნელები კვლავ არ არიან დაინტერესებულნი ოჯახებისთვის მუშა/საცხოვრებელი სივრცეების უზრუნველყოფით, თუნდაც მათთვის, ვისაც ამ ახალ, ბრჭყვიალა ურბანულ ჰაბიტატებში ცხოვრების საშუალება აქვს.

ზრუნვის სამუშაო კვლავ მეორეხარისხოვან საკითხად რჩება ქალაქებში და ჯენტრიფიკაცია უცებ არ აადვილებს საქმეს, განსაკუთრებით ქალების უმრავლესობისთვის, ვისთვისაც ჯენტრიფიკაციის „კომფორტი“ მიუწვდომელია. ჩემი გამოცდილებით, ეს კომფორტი ორლესული მახვილია, როცა დაკავშირებულია სოციალურ ტენდენციასთან, რომელსაც ზოგიერთი „მშობლობის ჯენტრიფიკაციას“ უწოდებს. ეს კონცეფცია ეფუძნება „ინტენსიური დედობის“ იდეას, ტერმინი, რომელიც სოციოლოგმა შარონ ჰეისმა შემოიტანა და რომელსაც განმარტავს როგორც „ბავშვზე ორიენტირებულს, ექსპერტის მიერ მართულს, ემოციურად შთანმთქმელს, შრომატევადს და ფინანსურად ძვირადღირებულს“. ეს გაძლიერებული მოლოდინები იმის შესახებ, თუ რამდენი მიძღვნილი, განუყოფელი ყურადღება უნდა გამოიჩინონ მშობლებმა, უპრეცედენტოა. დედობის

მკვლევრები, მათ შორის ანდრეა ო'რეილი ამტკიცებენ, რომ ინტენსიური დედობა და „დედობის ახალი მისტიკა“ სწორედ დროულად გამოჩნდა, რომ საწვავი დაემატებინა 1970-იან და 1980-იან წლებში ქალების გაზრდილი სოციალური, სექსუალური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიმართ მწვავე უკურეაქციისთვის.

ეს ინტენსიფიკაცია ვლინდება მოხმარების თვალსაჩინო პრაქტიკებისა და ესთეტიკის მრავალფეროვნებაში, რასაც ზოგიერთი „მშობლობის ჯენტრიფიკაციას“ უწოდებს. კარგი მშობლობის ნორმები და კულტურული მარკერები ჯენტრიფიცირებულია, რადგან ისინი სულ უფრო მეტად განისაზღვრება კონკრეტული პროდუქტების ბრენდებით, სტილებითა და აქტივობების ტიპებით, რომლებსაც საშუალო და მაღალი კლასის ურბანული შინამეურნეობები ყიდულობენ და პრაქტიკაში ახორციელებენ. ეს ურბანულ გარემოში ვლინდება, როცა საშუალო კლასის მშობლები მოითხოვენ და იზიდავენ რესურსებს თავიანთ უბნებში და ქმნიან ბაზარს ძვირადღირებული მაღაზიებისა და გულდასმით შერჩეული ბავშვზე ორიენტირებული აქტივობებისთვის. დრო, ფული და ემოციური შრომა, რაც საჭიროა ამ სახის მშობლობისთვის, უბრალოდ არ არის ხელმისაწვდომი ოჯახებისა და განსაკუთრებით დედების უმრავლესობისთვის.

ჩემს ჯენტრიფიცირებად უბანში მშობლობის ადრეული წლების გახსენება სიმსუბუქის განცდას კი არა, გამოფიტვის ღრმა სხეულებრივ შეგრძნებას იწვევს. რა ძილის ნაკლებობა ჩვეულებრივი ამბავია ახალბედა მშობლებისთვის, მაგრამ მე ვგულისხმობ ქალაქში მშობლობის თანმხლებ ინტენსიურ ფიზიკური დაძაბულობას. ვხედავ ჩემს ახალგაზრდა თავს, როგორ ვაგორებ პლასტმასის თვლებიან ეტლს თოვლითა და ყინულით სავსე ტროტუარებსა და ქუჩებზე. ვტვირთავ ეტლს პროდუქტებით კვირაში რამდენჯერმე, რადგან მანქანა არ გვაქვს. შენიშვნა: ეს უნდა იყოს ქალაქური ცხოვრების ერთ-ერთი „მოსახერხებელი“ ნაწილი. ნახევრად ვატარებ, ნახევრად მივათრევ იმ ეტლს სახლში, რადგან დაზიანებულ ქვაფენილზე დარტყმების შემდეგ ბორბლის თვალი შესაძლოა დაიშალოს. მრავალჯერადი ყოველდღიური გასვლები პარკში, წიგნიერების დროებით ცენტრში ან სათემო ცენტრის სათამაშო სივრცეში ჩემი ქალიშვილის „საჭიროების“ დასაკმაყოფილებლად გამამდიდრებელი, სახალისო სოციალური აქტივობებისთვის. საღამოს მგზავრობა საზოგადოებრივი ტრანსპორტით ცურვის გაკვეთილებზე ცენტრში. მუდმივი მისვლა-მოსვლა საბავშვო ბაღში, სკოლაში,

საქმეებზე, გაკვეთილებზე, ოჯახისა და მეგობრების მონახულება. მინდა დროში უკან დავბრუნდე და საკუთარ თავს ვუთხრა: დარჩი სახლში. დაწექი. ნაკლები გააკეთე.

იმ დროს ნაკლების გაკეთების არჩევანი დიდად არ ჩანდა, თუმცა ჩემს უბანში ბევრი სახლში მჯდომი დედა გაოგნდებოდა, რომ გაეგო, რომ სრულ სადოქტორო კურსს გავდიოდი. რაც მათ არ იცოდნენ ის იყო, რომ სკოლა ჩემი დღის ყველაზე ადვილი ნაწილი იყო. რამდენიმე საათი საკუთარ თავთან ყოფნა, სხვა ადამიანის უმცირეს მოთხოვნებზე დაუყოვნებლივი პასუხისმგებლობისა და მისი მენტალური და ემოციური ზრდის შესახებ წუხილის გარეშე... ეს ისეთი მშვიდი იყო. 1950-იანი წლების არქეტიპული გარეუბნელი დედაც კი არ იყო ვალდებული, მუდმივად გაერთო თავისი შვილები. მაგრამ მეოცე საუკუნის ბოლოსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისის თითქოსდა გათავისუფლებულმა ურბანულმა დედამ უნდა შეასრულოს რთული საოჯახო პასუხისმგებლობები ბავშვების გაზრდისა და ჩვეულებრივ, სახლს გარეთ მუშაობის პარალელურად. და ის ამას აკეთებს სივრცეებში, რომლებიც ყველაზე ნაკლებადაა მოწყობილი მისი შრომის მხარდასაჭერად.

ადრე მეგონა, რომ მედის ქალაქური ბავშვობა - და ჩემი ურბანული მშობლობა - ძალიან განსხვავდებოდა გარეუბნული ბავშვობისგან, რომელიც 1980-იან წლებში მქონდა. ჩანდა, რომ მას ინტერესებზე ორიენტირებული ბევრად მეტი სახალისო აქტივობა ჰქონდა და მშობლების საქმეების დასრულების მოლოდინში ნაკლებად უწევდა მანქანაში ჯდომა. ეს ნაწილი, ალბათ, მართალია, მაგრამ ინტენსიური მშობლობა უდავოდ უკვე მზარდი ტენდენცია იყო 1980-იან წლებში. მახსოვს შაბათ-კვირა სავსე სინაგოგით, ცეკვის გაკვეთილებით, ბეისბოლის ვარჯიშებით, ცურვით, ციგურაობითა და ებრაული სკოლით, ასევე საოჯახო საქმეებითა და მისისოგაში უსასრულო საოჯახო დავალებების შესასრულებლად სიარულით. ჩემი მშობლები მაქსიმუმს აკეთებდნენ სახლის, სამსახურისა და მშობლობის მოთხოვნების სამართავად სულ უფრო გაფართოებულ ლანდშაფტში, ერთი მანქანითა და მხოლოდ ერთი მართვის მოწმობით.

სანამ მართვას ისწავლიდა, დედაჩემი ხშირად 45 წუთს ან ერთ საათს დადიოდა მხოლოდ იმისთვის, რომ მარტივი საქმე მოეგვარებინა. იქნებ უბრალოდ სახლიდან გასვლის საბაბი სჭირდებოდა, ცოტა დრო მაღაზიებში საკუთარ თავთან, ბავშვების ბუზღუნის გარეშე. უკან რომ ვიხედები, ვხედავ, რომ დედები  მსგავს ჟონგლიორობებს მივმართავდით. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში ცხოვრება

ტრანსპორტსა და სერვისებზე უკეთეს ხელმისაწვდომობას ნიშნავდა, ეს არ იყო ჯადოსნური გამოსავალი დროის მიმართ არსებული მრავალი მოთხოვნისთვის.

უფრო შეძლებული ოჯახები ამ წინააღმდეგობებს სხვების დაბალანაზღაურებად შრომაზე დაყრდნობით მართავენ. იმიგრანტები, ქალები და ფერადკანიანი კაცები სოციალური რეპროდუქციის გარე შრომას ასრულებენ, როცა ოჯახებს არ შეუძლიათ თავად გაართვან თავი ან როცა სახელმწიფო უარს ამბობს დახმარებაზე (მაგალითად, ბავშვის მოვლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით). როგორც სადოქტორო სტუდენტს, პარტნიორით, რომელიც დაბალანაზღაურებად მუშათა კლასის ინდუსტრიაში მუშაობდა, სერვისებისთვის ბევრის გადახდა არ მქონდა მიწევდა. მაინც, როცა ამ ყველა ჟონგლიორობის დროისა და ენერგიის მოთხოვნებმა დამღალა, საკრედიტო ბარათის ვალის გაზრდა გავამართლეთ ისეთი დამატებითი მომსახურებისთვის, როგორიცაა პროდუქტების მიტანა და სატრანსპორტო ბარათები. მედის სხვადასხვა აქტივობისთვის გადახდა მხოლოდ გაზრდის ნაწილი არ იყო; ეს აქტივობები ბავშვის მოვლაში შედიოდა, რომ მე შემძლებოდა ოცდაათი წუთის მოპარვა საცურაო აუზის გალერეაში სასკოლო სამუშაოს გასაკეთებლად. საკუთარი თავის ზრდა თუ გამდიდრება - უმაღლესი განათლების დასრულება - ნაწილობრივ დამოკიდებული იყო სხვების დაბალანაზღაურებადი შრომის ხელმისაწვდომობაზე (მიმტანები, ბავშვის მომვლელები), რაც მახსენებდა,როგორ აღრმავებს ზრუნვის სამუშაოსთვის საჯარო ინფრასტრუქტურის ნაკლებობა უთანასწორობას ქალებს შორის, როცა ჩვენ ექსპლუატაციის მრავალ შრეში ვმონაწილეობთ, რათა საკუთარი თავები წყლის ზედაპირზე შევინარჩუნოთ.

ეს დისბალანსი გლობალურ გავლენას ახდენს და მსოფლიოს ქალაქებში დედების ცხოვრებას ცვლის. როცა იზრდება საოჯახო ზრუნვის შრომაში დახმარების მოთხოვნა შეძლებულ მომუშავე ქალებს შორის, სხვადასხვა ეროვნების ქალი მიგრანტები იძულებულნი არიან ზრუნვის შრომის დეფიციტი შეავსონ. სინგაპურში, ფილიპინებიდან და ინდონეზიიდან საოჯახო მუშაკები საშუალებას აძლევენ სინგაპურელ ქალებს მონაწილეობა მიიღონ ქალაქ-სახელმწიფოს სწრაფვაში, იქცეს მსოფლიოს წამყვან ფინანსურ და საკომუნიკაციო გლობალურ ქალაქად. ფემინისტი გეოგრაფები ბრენდა იეო, შირლენა ჰუანგი და კეიტი უილისი აღნიშნავენ, რომ როგორც ბევრ სხვა ქალაქში, სინგაპურელი ქალები, რომლებიც სახლს გარეთ მუშაობენ, წარუმატებელნი აღმოჩნდნენ საოჯახო და ბავშვის

მოვლის პასუხისმგებლობების საკმარისი წილის კაცებისთვის გადაცემაში, რაც აიძულებს მათ, ხშირად სურვილის საწინააღმდეგოდ, უცხოელ საოჯახო მოსამსახურეებს დაეყრდნონ.

კანადაში, ათასობით ქალი - უმეტესად თავად დედებიც - ისეთი ადგილებიდან, როგორიცაა ფილიპინები და კარიბის კუნძულები, კანადაში სამუშაოდ ჩამოდიან როგორც დროებითი მიგრანტები ძიძებად, დიასახლისებად და სახლის მომვლელებად. ფემინისტი გეოგრაფის ჯერალდინ პრატის ხანგრძლივმა კვლევებმა ფილიპინელ მიგრანტებთან ისეთ ქალაქებში, როგორიცაა ვანკუვერი, დაკარგვისა და მოწყვეტის ისტორიები გამოავლინა, როცა კანადაში ბავშვების მოსავლელად დედები თავიანთ შვილებს ზოგჯერ ათწლეულებით ტოვებენ. სახლში, მათი შვილები იზრდებიან ქმრების, ბებია-ბაბუების, ნათესავების ან მეზობლების მიერ არეულ-დარეული ზრუნვის პირობებში, რაც გულლსატკენ ემოციურ დისტანციას თესავს, რომელიც შესაძლოა არასდროს დაიძლიოს. პრატი აღწერს გზებს, რომლითაც ფილიპინელი მიგრანტების წინანდელი ცხოვრება უხილავი ხდება ჩვენთვის აქ, კანადაში, მათი ქმრებისა და შვილებისგან განშორება მხოლოდ „ჩრდილოვან არსებობად“ რჩება, რომელიც მათ შრომაზე დამოკიდებულების გამო დავივიწყეთ.

როცა ჩემი ქორწინება დასრულდა, მოთხოვნები მხოლოდ გაინტენსიურდა. ღამეები, რომლებსაც მედი მამასთან ატარებდა, დიდად შვებისმომგვრელი არ ყოფილა. ბავშვის ჩაბარება და წამოყვანა ნიშნავდა ავტობუსით უფრო ხშირად მგზავრობას არასანდო სისტემის დროითი გათვლის დამატებითი სტრესით, რომ მეორე მშობელი არ გაბრაზებულიყო. დამატებითი დავალებები და ხარჯები ახლა მოიცავდა მგზავრობას ადვოკატებთან და კონსულტანტებთან, სასამართლოებსა და სოციალურ მუშაკებთან. ვცდილობდი, გამერკვია როგორ შეიძლებოდა ვყოფილიყავი ყველგან, სადაც უნდა ვყოფილიყავი მედის მოვლისა და ზედამხედველობის კოორდინირების პარალელურად. ვწერდი დისერტაციას და ვასწავლიდი სამ სხვადასხვა უნივერსიტეტში, რაც ჩემს უკვე არაეფექტურ ყოველდღიურ მგზავრობის სქემას ძვირადღირებულ მგზავრობას ამატებდა გრეიჰაუნდის ავტობუსითა და გარეუბნებისთვის განკუთვნილი მატარებლებით.

იყო პერიოდები, როცა მედი ცოტა ხნით მარტო უნდა დამეტოვებინა ან თავად გაევლო გზის ნახევარი სკოლამდე, სანამ მეგობარს შეხვდებოდა. ჩვენი ოჯახის ქსოვილში არსებული ნაპრალები მუდმივად ფართოვდებოდა. უკან რომ ვიხედები, მართლა არ ვიცი, ამ ყველაფრის მართვას კატასტროფის გარეშე როგორ ვახერხებდი. რა თქმა უნდა, ჩემი, როგორც განათლებული თეთრკანიანი სისგენდერი

ქალის პრივილეგიები, დამეხმარა არ ჩავძირულიყავი, მაგრამ არც მე ვიყავი დაცული სახელმწიფოს გაძლიერებული ზედამხედველობისგან სოციალური მუშაკების სახით, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ მედისთვის გარკვეული სერვისები მიგვეწოდებინა. რა თქმა უნდა, ისინი ამ სერვისებს არ უზრუნველყოფდნენ და ამაზე ზრუნვა ჩემი პასუხისმგებლობა იყო. პირადად ვისწავლე, თუ როგორ აკისრებს სახელმწიფო ტვირთს დედებს და რამდენად ცუდად მიჭერდა მხარს ჩემი უბანი და ქალაქი.

გამაღიზიანებელი ის არის, რომ ჩემს სიტუაციაში არაფერი იყო უჩვეულო. ტრადიციული პატარა ოჯახი აღარ არის ნორმა. ქალაქები სავსეა შერეული ოჯახებით, რთული ნათესაური ურთიერთობებით, რომლებიც გამოწვეულია განქორწინებითა და ხელახალი ქორწინებით, მარტოხელა მშობლებით, ქვიარ ურთიერთობებით, პოლიამორული ოჯახებით, მინდობით აღმზრდელი ოჯახებით, ოჯახის წევრების მიგრაციით, არასაოჯახო შინამეურნეობებით, მრავალთაობიანი შინამეურნეობებით, ცარიელი ბუდის სინდრომით და სხვა. მაგრამ ამას ვერ მიხვდებოდით, თუ შეხედავდით, როგორ არის დაპროექტებული ჩვენი ქალაქები და მათი გარეუბნები ფუნქციონირებისთვის.

იდეალურ შემთხვევაში, ამ მრავალფეროვან ნათესაურ ქსელებს შეეძლოთ შესაძლებლობების გახსნა სოციალური რეპროდუქციის, ზრუნვისა და ბავშვის აღზრდის სამუშაოს გასაზიარებლად შემოქმედებითი, თუნდაც ფემინისტური გზებით. თუმცა, ამას ჩვენმა უბნებმა და ქალაქებმა უნდა შეუწყონ ხელი. პატარა, ერთ ან ორსაძინებლიანი კონდომინიუმების (მრავალბინიან სახლში ცალკე ბინის საკუთრება) მასიური მშენებლობა მაღალსართულიან საცხოვრებელ შენობებში ოჯახებისთვის ხელმისაწვდომი საცხოვრებლის ნაკლებობას იწვევს. გადატვირთული გზები და ძვირადღირებული სატრანსპორტო სისტემები ართულებს ბავშვების მიყვანა-მოყვანას ნათესავების სახლებიდან, და შემდეგ სკოლაში, საბავშვო ბაღსა და აქტივობებზე. ბევრი მშობლისთვის უსაფრთხო, სრულ განაკვეთზე დასაქმების ნაკლებობა ნიშნავს არასტაბილური სამუშაოს მოთხოვნებით ჟონგლიორობას და შესაძლოა ისინი იძულებული გახდნენ, დატოვონ მოსახერხებელი უბანი შესაფერისი სამუშაოს საპოვნელად. ჯენტრიფიკაცია განდევნის მარტოხელა მშობლებს, დაბალშემოსავლიან ადამიანებსა და ხელმისაწვდომ სერვისებს თუ ნათესავებს ქალაქში ფანტავს.

**არასექსისტური ქალაქი**

მიუხედავად იმისა, რომ ოჯახისა და შინამეურნეობის ფორმების სრული მრავალფეროვნება შედარებით ახალია, იდეები ისეთი საცხოვრებელი კომპლექსებისა და მთლიანი უბნების შექმნის შესახებ, რომლებიც ზრუნვის სამუშაოს გაადვილებასა და მის კოლექტიურობას უწყობდნენ ხელს, შეიძლება ვიპოვოთ როგორც 1980-იან და 1990-იან წლებში, ისე შორეული 1800-იანი წლების ბოლოს ჩრდილოეთ ამერიკაში. ჰეიდენის წიგნი „დიდი საოჯახო რევოლუცია: ამერიკული სახლების, უბნებისა და ქალაქების ფემინისტური დიზაინების ისტორია“ დეტალურად აღწერს უტოპიურ სქემებსა და ზოგჯერ რეალურ სახლებსა და თემებს, რომლებიც დაპროექტებული იყო ადრეული მატერიალისტი ფემინისტების მიერ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ საოჯახო საქმე და ბავშვის მოვლა უნდა გასოციალურდეს და ჩაერთოს ახალ სივრცით მოწყობაში ქალების სამუშაო ძალაში შესვლის, კაცებთან თანასწორობისა და ინტელექტუალური განვითარების ხელშესაწყობად. „არასექსისტური ქალაქის“ ხედვები ხშირად საცხოვრებელის საკითხებზეა კონცენტრირებული, აღნიშნავენ რა, რომ ტრადიცული ოჯახის სახლი შრომის გამოყენების ნამდვილად არაეფექტიანი გზაა, რომელიც ქალებს სახლთან აბამს და მცირე დროსა და ენერგიას უტოვებს სხვა საქმიანობისთვის. საცხოვრებელი კომპლექსები, რომლებიც საშუალებას აძლევს შინამეურნეობებს გაიზიარონ საჭმლის მომზადების, დალაგებისა და ბავშვების მოვლის სამუშაო, ფემინისტური დიზაინების გავრცელებული მახასიათებლებია. ვეკერლე აღნიშნავს, რომ 1970-იან და 1980-იან წლებში, სანამ ნეოლიბერალიზმის პირველ ტალღაში სუბსიდირებული საცხოვრებლისთვის ფედერალური დაფინანსება შემცირდებოდა, კანადის ქალაქებში აშენდა სხვადასხვა კოოპერატიული საცხოვრებელი კომპლექსი, რომლებიც ფოკუსირებული იყო სპეციფიკური საჭიროებების მქონე დაბალშემოსავლიან ჯგუფებზე - მარტოხელა დედებზე, ხანდაზმულ ქალებზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებზე. ეს მაგალითები გვახსენებს, რომ უკვე არსებობს ალტერნატივები. არასექსისტური ქალაქის წარმოსახვის სამუშაო ნაწილობრივ უკვე შესრულებულია.

როცა სამაგისტრო პროგრამა დავიწყე, ერთ წლამდე ასაკის ბავშვი მყავდა და საბავშვო ბაღის გადასახადის გადახდა არ შემეძლო (სუბსიდირებული ადგილების მოლოდინის სიები აბსურდული იყო). ჩემი საქმის დასასრულებლად დროის გამონახვას ვცდილობდი. საბედნიეროდ, შევხვდი ანეკეს. ერთად გვქონდა ლექციები და აღმოვაჩინეთ, რომ ორივე ძალიან პატარა ბავშვების მთავარი მომვლელები ვიყავით. დავიწყე მედის მიყვანა ანეკეს სახლში კვირაში ორჯერ და რიგრიგობით

ვუვლიდით ბავშვებს, სანამ ერთ-ერთი ჩვენგანი რამდენიმე საათით სამეცადინოდ წავიდოდა. იმ პატარა დამატებითმა დრომ, რასაც მე „ქალაქის ყველაზე პატარა ძიძების კოოპერატივს“ ვუწოდებდი, უზარმაზარი სხვაობა შექმნა. იმ დროს მეგონა, რომ უბრალოდ გაგვიმართლა. არ ვიცოდი, რომ ვიყავით დედებისა და სხვა მზრუნველების ხანგრძლივი ტრადიციის ნაწილი, რომლებიც გამჭრიახ მოწყობას იგონებდნენ ქალაქში ზრუნვის სამუშაოს შესასრულებლად. „თავის გატანის“ ეს შემოქმედებითი პრაქტიკები მეცხრამეტე საუკუნიდან ფემინისტურ ურბანულ ჩარევებს ასაზრდოებდა.

ბევრი ათწლეულის შემდეგ იმის მწვავე კრიტიკის მიუხედავად, თუ როგორ ვერ ართმევენ თავს ქალაქები და გარეუბნები დედებისა და სხვა მზრუნველების საჭიროებებს, პრობლემები იგივე რჩება. ნეოლიბერალიზმის პირობებში, ამ პრობლემებისთვის შექმნილი „გამოსავლების“ უმეტესობა ბაზარზე იყო დაფუძნებული, რაც ნიშნავს, რომ საჭიროებს დამატებითი სერვისების, კომფორტისა და სხვისი დაბალანაზღაურებადი შრომის ანაზღაურების უნარს. ძალიან ცოტა ცვლილებამ, განსაკუთრებით ჩრდილოეთ ამერიკის ქალაქებში, წარმოსახა და გადააწყო აშენებული გარემო და ურბანული ინფრასტრუქტურის სხვა ასპექტები ისე, რომ ზრუნვის სამუშაო სერიოზულად მიეღო.

ევროპაში „გენდერული მეინსტრიმინგის“ მიდგომებს ურბანული დაგეგმარებისა და საბიუჯეტო გადაწყვეტილებებისადმი უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვს. არსებითად, ეს ჩარჩოები ნიშნავს, რომ დაგეგმარების, პოლიტიკისა და ბიუჯეტირების ყველა გადაწყვეტილება უნდა განიხილებოდეს გენდერული თანასწორობის, როგორც საწყისი წერტილის გათვალისწინებით. მაგალითად, პოლიტიკის შემქმნელებმა უნდა იკითხონ, როგორ შეიძლება გადაწყვეტილებამ პოტენციურად გააძლიეროს ან შეასუსტოს გენდერული თანასწორობა. ეს მიდგომები უბიძგებს ქალაქებს გაითვალისწინონ, როგორ უჭერს მხარს ან აფერხებს გადაწყვეტილებები ზრუნვის სამუშაოს, რომელიც პირდაპირი გაგებით ინარჩუნებს საზოგადოების ფუნქციონირებას.

ქალაქმა ვენამ მიიღო გენდერული მეინსტრიმინგის მიდგომა რამდენიმე სფეროში, როგორიცაა განათლება და ჯანდაცვა. მაგრამ ამას დიდი გავლენა ჰქონდა ურბანულ დაგეგმარებაზე. მსოფლიოსქალების გამოცდილებების გამოძახილით და ჩემი გამოცდილებითაც, ქალებმა 1999 წლის სატრანსპორტო გამოკითხვას უპასუხეს თავიანთი ისტორიებით რთული მგზავრობის შესახებ, რომელშიც ზრუნვისა და ანაზღაურებად სამუშაოს აბალანსებდნენ: „ზოგიერთ დილას ბავშვები ექიმთან, შემდეგ სკოლაში მიმყავს სანამ სამსახურში წავალ. მოგვიანებით, დედაჩემს ვეხმარები

პროდუქტების ყიდვაში და ბავშვებს მეტროთი ვაბრუნებ სახლში“. ტრანსპორტით სარგებლობის საკითხმა გამოავლინა ზოგიერთი უზარმაზარი განსხვავება კაცებისა და ქალების მიერ ქალაქის სერვისებისა და სივრცეების გამოყენებაში. ვენამ სცადა ამ გამოწვევის დაძლევა ტერიტორიების გადაპროექტებით ფეხით მოსიარულეთა მობილობისა და ხელმისაწვდომობის გასაადვილებლად, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის სერვისების გაუმჯობესებით. ქალაქმა ასევე შექმნა ფემინისტი დიზაინერების მიერ წარმოსახული ტიპის საცხოვრებელი კომპლექსები, მათ შორის ადგილზე საბავშვო მოვლის, ჯანდაცვის სერვისებითა და ტრანსპორტზე წვდომით. იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველას ჰქონდეს თანაბარი წვდომა ურბანულ რესურსებზე, ვენის გენდერული მეინსტრიმინგის მიდგომა „სიტყვასიტყვით გარდაქმნის ქალაქს“.

გენდერზე ორიენტირებული პერსპექტივა დაგეგმარებაში არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ გლობალური ჩრდილოეთის მდიდარი ქალაქებით. ქალები გლობალური სამხრეთის მეგა-ქალაქებისბ არაფორმალურ დასახლებებში  ასევე მუშაობენ ურბანული დაგეგმარების დასაბრუნებლად. ისეთი კრიტიკული გამოწვევების წინაშე მდგარნი, როგორიცაა სიღარიბე, დაცული მფლობელობის ნაკლებობა, ანტისანიტარია და სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მწირი სერვისები, ქალები ხშირად ერთიანდებიან კოლექტივებში, რომლებიც ეხმარებიან მათ ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებასა და საცხოვრებლისა და მფლობელობის უსაფრთხოებისთვის ადვოკატირებაში. მაგალითად, ნამიბიის ჯურღმულების მცხოვრებთა ფედერაცია არის კოლექტივი, რომელიც სთავაზობს „გაზიარებულ მფლობელობასა და საცხოვრებლის უსაფრთხოებას თავის წევრებს, რითაც აუმჯობესებს ქალების შესაძლებლობებს უკეთესი საჯარო სერვისების მისაღებად და შემოსავლის გენერირებისთვის“, პრაბჰა კოშლა ასახელებს „გენდერულად მგრძნობიარე ჯურღმულების მოდერნიზაციას“, როგორც მოქმედების სფეროს, აღნიშნავს რა, რომ ქალები უნდა იყვნენ ჩართულნი როგორც გადაწყვეტილების მიმღებები, რათა უზრუნველყოფილი იყოს წვდომა მიწაზე, სამუშაოსა და აუცილებელ სერვისებთან სიახლოვეზე.

გენდერული მეინსტრიმინგი ნელ-ნელა უფრო მეტ ქალაქში იკვლევს გზას. ახლახან, მედია საშუალებებს თითქოს ართობდა იმის გაშუქება, რომ  კანადისა და აშშ-ის ზოგიერთი ქალაქი იყენებდა გენდერულ ანალიზს თოვლის გაწმენდის ბიუჯეტებსა და განრიგებზე. მართალია, თოვლი არ განასხვავებს, მაგრამ გადაწყვეტილებები იმის შესახებ, თუ რომელი გზები და არეალები უნდა იყოს

პრიორიტეტული გაწმენდისთვის, ბევრს ამბობს იმის შესახებ, თუ რომელი აქტივობებია დაფასებული ქალაქში. უმეტეს შემთხვევაში, ქალაქები ჯერ წმენდენ მთავარ გზებს, რომლებიც ცენტრისკენ მიდის, ხოლო საცხოვრებელ ქუჩებს, ტროტუარებსა და სასკოლო ზონებს ბოლოსთვის მოიტოვებენ. საპირისპიროდ, ისეთმა ქალაქებმა, როგორიცაა სტოკჰოლმი, მიიღეს „გაწმენდის გენდერულად თანასწორი სტრატეგია“, რომელიც პრიორიტეტს ტროტუარებს, ველობილიკებს, ავტობუსების ზოლებსა და საბავშვო ბაღების ზონებს ანიჭებს, იმ დაშვებით, რომ ქალებმა, ბავშვებმა და ხანდაზმულებმა უფრო სავარაუდოა ფეხით იარონ, ველოსიპედით იმგზავრონ ან მასობრივი ტრანსპორტით ისარგებლონ (უფრო მეტიც, რადგან ბავშვები სამუშაოს დაწყებამდე უნდა მიიყვანო, ამ მარშრუტების უფრო ადრე გაწმენდას მეტი აზრი აქვს). სტოკჰოლმის ვიცე-მერმა, დანიელ ჰელდენმა, კანადურ მედიას აუხსნა გეგმა, ამტკიცებდა რა, რომ ნაცვლად ისეთი გაწმენდისა, რომელიც აძლიერებს ავტომობილზე ორიენტირებულ ქმედებას, სტოკჰოლმის მეთოდი ყველას უბიძგებს გამოიყენოს ტრანსპორტირების ალტერნატიული საშუალებები. არსებული მდგომარეობის დუბლირების ნაცვლად, მათი გეგმა მომავალზე ვრცელდება და სვამს კითხვას „როგორი გინდა რომ იყოს შენი ქალაქი“.

გენდერულ მეინსტრიმინგს თავისი შეზღუდვები აქვს. ვენის ოფიციალური პირები აღნიშნავენ, ანაზღაურებადი და აუნაზღაურებელი გარშემო გავრცელებული გენდერული ნორმებისა და როლების გაძლიერების საფრთხე არსებობს. მაგალითად, სეულში, მომუშავე ქალების მგზავრობის გაადვილების მცდელობები - „მაღალქუსლიანებისთვის მეგობრული“ ტროტუარებიდან „ვარდისფერ“ სადგომებამდე, რომლებიც ქალებისთვისაა განკუთვნილი - არ ყოფილა შესაბამისობაში სახელმწიფოს მცდელობებთან დაბალანსებულიყო უთანასწორობა საოჯახო და ბავშვის მოვლის შრომაში. გენდერის, როგორც თანასწორობის პირველადი კატეგორიის აღება, ასევე შეიძლება შემზღუდველი იყოს. მაშინ როცა ტიპური ურბანული მოქალაქე ხშირად ვიწროდ წარმოისახებოდა როგორც თეთრკანიანი, სისგენდერი, ფიზიკურად ჯანმრთელი, საშუალო კლასის, ჰეტეროსექსუალი კაცი, გენდერული დაგეგმარების პროცესში წარმოსახული ქალი მოქალაქე მსგავსად შეზღუდული იყო. დაქორწინებული, ფიზიკურად ჯანმრთელი დედა ვარდისფერ ან თეთრსაყელოიანი სამსახურით ჩვეულებრივ იყო გენდერულად მგრძნობიარე დაგეგმარების წარმოსახვითი ბენეფიციარი. ეს ქალი სულ უფრო მეტად წარმოადგენს უმცირესობას თანამედროვე

ქალაქების უმეტესობაში, რაც მიანიშნებს, რომ არსებობს ქალების დიდი ჯგუფები, რომელთა საჭიროებებიც შეიძლება დაუკმაყოფილებელი დარჩეს გენდერული მეინსტრიმინგის ფარგლებში.

ცენტრალური ქალაქის გარეთ მგზავრობა წარმოაჩენს ამ უთანასწორობებსა და მათ სივრცით კომპონენტებს. როცა დოქტორანტურა დავიწყე, იორკის უნივერსიტეტში მგზავრობისას, კილის ქუჩის ავტობუსი დაბალშემოსავლიან, რასობრივად მარკირებულ უბნებში მატარებდა, სადაც კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდებოდა დედების მიმართ არსებული გაუგონარი მოთხოვნები. მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკურად კვლავ ურბანულია, ეს არის უბნები, სადაც სრული მომსახურების სასურსათო მაღაზიამდე ფეხით მისვლა იშვიათად არის შესაძლებელი. საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა უკიდურეს სიცივეში ან გამაოგნებელ მზეში თავშესაფარის გარეშე, მიუწვდომელი, არაპროგნოზირებადი ავტობუსების ლოდინს ნიშნავს. ყოველდღიური საჭიროებების დაკმაყოფილება კი ნიშნავს მრავალჯერად გაჩერებას სხვადასხვა მაღაზიასა და სავაჭრო ცენტრში. ამ დედებისთვის ოცდაათი წუთის გამონახვა გაზეთის წასაკითხად სტარბაქსში ბავშვის ძილის დროს ნაკლებად სავარაუდო ჩანდა.

გეოგრაფი ბრენდა პარკერი დამაჯერებლად წერს მილუოკიში დაბალშემოსავლიანი აფროამერიკელი ქალების გამოცდილების შესახებ. პარკერი ამტკიცებს, რომ ჯენტრიფიკაცია და ურბანული სოციალური სერვისების შემცირება იწვევს „გაძლიერებისა“ და „ინტენსიფიკაციის“ ეფექტებს ამ ქალების ყოველდღიურ ცხოვრებასა და შრომაზე, ეფექტებს, რომლებიც სხეულზე აისახება გამოფიტვის, ავადმყოფობისა და ქრონიკული ტკივილის სახით. ქალაქში ნავიგაცია მხოლოდ სახიფათო კიბეებსა და გადატვირთულ ტრანსპორტთან გამკლავების თვალსაზრისით არ არის დამღლელი. ეს უხერხულობები შრევდება დროისა და ენერგიის მშთანმთქმელ სამუშაოსთან: ნავიგაციის სახელმწიფო და „ჩრდილოვანი“ ვარიანტები, როგორიცაა საკვების პანტრიებსა და ეკლესიებში მგზავრობა; სოციალურ მუშაკებთან, მასწავლებლებთან და სასურსათო ტალონების ოფისებთან შეხვედრები; და უსასრულო ლოდინი სააგენტოებსა და კლინიკებში.

გადაჭარბებულ, ცუდად ანაზღაურებად სამუშაო დღეებთან ერთად, ეს შრომა ნიშნავდა, რომ მშობლობის ძირითადი პასუხისმგებლობები და სიხარულიც კი მიუწვდომელი ხდებოდა. პარკერს ერთ-ერთმა რესპონდენტმა, ოდრამ, თავისი გამოცდილება გაუზიარა: „იმიტომ, რომ თოთხმეტ საათს

ატარებ რვასაათიან სამუშაოზე. ასე რომ, როცა სახლში ბრუნდები, ძალიან დაღლილი ხარ მათთან ერთად საშინაო დავალების გასაკეთებლად“. ეს ბრძოლები მხოლოდ მძაფრდება ჯენტრიფიკაციით. დაბალშემოსავლიანი რასობრივად მონიშნული ქალები უფრო მოწყვლადები არიან გადაადგილების მიმართ, იძულებულნი ხდებიან გადავიდნენ არასაკმარისი მომსახურების მქონე ტერიტორიებზე, სადაც ურბანული ცხოვრების უპირატესობები - ურთიერთდაკავშირებული წვდომა დასაქმების ადგილებზე, სკოლებზე, სერვისებზე, საცალო ვაჭრობაზე, ტრანსპორტსა და საშინაო ცხოვრებაზე - აშკარად შეთხელებულია.

ეს არეალები ასევე შეიძლება იყოს ზონები, სადაც, მაგალითად ჰაერისა თუ წყლის დაბინძურება და კიდევ უფრო ზემოქმედებს დედობის სამუშაოზე. ურბანული გარემოს გეოგრაფი ჯული ზე წერს რესპირატორული დაავადებების მაღალ მაჩვენებელზე ფერადკანიან ბავშვებს შორის ღარიბ უბნებში, სადაც ძირითადად დედები არიან პასუხისმგებელნი ასთმის მართვის ინტენსიურ სამუშაოზე. ფლინტის წყლის კრიზისის კონტექსტში სუფთა წყლის დალევის, დასუფთავებისა და ბანაობისთვის ბრძოლა კიდევ ერთი მაგალითია, რომ არაფერი ვთქვათ ტყვიით მოწამლული ბავშვების მოვლის სამუშაოზე. როგორც კი დედობის სამუშაო უფრო ძვირი ხდება მშობლობის ჯენტრიფიკაციის გზით, ისინი, ვისაც შეუძლია პრივატიზებული სერვისების საფასურის გადახდა, სარგებლობენ, მაშინ როცა ისინი, ვისაც არ შეუძლია, იძულებულნი არიან გადავიდნენ უბნებში, სადაც მათი ცხოვრება კიდევ უფრო რთულდება.

მილუოკიში ქალაქის რასობრივად გაყოფილი გეოგრაფია ასევე მოქმედებდა დედების შესაძლებლობაზე, ეპოვათ კარგი სამუშაო სახლთან ახლოს. იოჰანესბურგში დედების კვლევამ აჩვენა, რომ აპარტეიდის მემკვიდრეობა და მისი გადარჩენილი სეგრეგაციის გეოგრაფია განაგრძობდა იმ არჩევანის ფორმირებას, რასაც დედები ქალაქში აკეთებდნენ სახლთან, სამუშაოსთან და სკოლასთან მიმართებით. მაგალითად, დიდი განსხვავებები სკოლების ხარისხში, რაც ასახავდა რასობრივ და კლასობრივ გეოგრაფიებს, ნიშნავდა, რომ ბევრ დედას უნდა განეხილა ფესვებთან მოწყვეტა, რათა გადასულიყვნენ კარგი სკოლის მქონე არეალში, თუნდაც ეს დასაქმების შესაძლებლობებისა და ოჯახის მხარდაჭერის დაკარგვას ნიშნავდეს. საშიში საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემები ასევე ნიშნავდა, რომ დედები თავს იკავებდნენ ბავშვების მარტო გაშვებისგან,

რაც ნიშნავდა, რომ მათ უნდა შეძლებოდათ ლავირება სამუშაოსა და სახლიდან სკოლაში მგზავრობას შორის.

ქალაქის პოლიტიკისა და ინფრასტრუქტურის მხრიდან მხარდაჭერის ნაკლებობის წინაშე მდგარი დაბალშემოსავლიანი ქალები იძულებულნი არიან იპოვონ გზები ზრუნვისა და ანაზღაურებადი შრომის შესათავსებლად. პარკერის მილუოკის კვლევაში, ქალებს „ჩვილები თან მიჰყავდათ, როცა სხვები ავტობუსს მართავდნენ; არც თუ ისე იშვიათად, ორი ან სამი ოჯახი ერთად ცხოვრობდა ერთ ან ორსაძინებლიან ბინაში. იქ ქალები ერთმანეთის ბავშვებს უვლიდნენ, სანამ ერთი ადამიანი 'უზრუნველყოფდა' შინამეურნეობას ანაზღაურებადი შრომით“. იოჰანესბურგში, ქალები ზოგჯერ იღებდნენ გულსატკენ გადაწყვეტილებას, რომ მათ შვილებს ნათესავებთან ეცხოვრათ, რადგან საცხოვრებელი და სამუშაო ადგილების შეზღუდული არჩევანი აფერხებდა მათ უნარს მიეცათ შვილებისთვის წვდომა კომფორტზე ან კარგ სკოლებზე. ასეთი სტრატეგიები დიდი ხანია აღწერილია შავკანიანი ფემინისტი მწერლების მიერ, როგორებიც არიან ბელ ჰუკსი და პატრისია ჰილ კოლინსი. ისინი ამტკიცებენ, რომ შავკანიანი ქალების სოციალური რეპროდუქციული შრომა ძირითადად ექვემდებარებოდა სახელმწიფოს სადამსჯელო ზომებს, როგორიცაა ბავშვების წართმევა ან „სამუშაო კეთილდღეობის“ პოლიტიკის ქვეშ მოქცევა. ფემინისტური აქტივიზმი საოჯახო შრომის გარშემო ტიპურად ცენტრში აყენებდა თეთრკანიან, ჰეტეროსექსუალ დაქორწინებულ ქალს და უგულებელყოფდა ფერადკანიანი ქალების განსაკუთრებულ საჭიროებებსა და პრობლემებს.

თუმცაღა დაბალშემოსავლიანი ფერადკანიანი ადამიანების გადარჩენის სტრატეგიების რომანტიზება საშიშია, მათი ტაქტიკა და წინააღმდეგობის სტრატეგიები ფემინისტებს უბიძგებს იფიქრონ გენდერულ მეინსტრიმინგს მიღმა. წიგნში „ურბანული შავკანიანი ქალები და წინააღმდეგობის პოლიტიკა“, ზენზელე ისოკე იკვლევს, თუ როგორ უწევენ შავკანიანი ქალები წინააღმდეგობას და გადააკეთებენ ურბანული სივრცისა და ურბანული პოლიტიკის მნიშვნელობებს სივრცეში, რომელსაც ის „შეძულებულ“ ქალაქს უწოდებ (ნიუარკი).გრძელვადიანი დეინვესტირებისა და სახელმწიფო ძალადობის მაღალი დონის წინაშე მდგარი შავკანიანი ქალები ნიუარკში, ამტკიცებს ისოკე, იყენებენ „სახლის კეთების“ პრაქტიკებს ქალაქში, რათა გადააწყონ „მტრული და  რასიზმით ღრმად გამსჭვალული ლანდშაფტი“. აქ სახლის კეთება ნიშნავს „სახლის ადგილების შექმნას აფროამერიკული ცხოვრების, ისტორიის, კულტურისა და პოლიტიკის დასადასტურებლად. სახლის

ადგილები არის პოლიტიკური სივრცეები, რომლებსაც შავკანიანი ქალები ქმნიან ერთმანეთისა და თავიანთი თემების მიმართ ზრუნვის გამოსახატად და შავკანიანი პოლიტიკური წინააღმდეგობის სცენარების დასამახსოვრებლად, გადასახედად და გასაცოცხლებლად". ზრუნვის ურბანული პოლიტიკა ხორციელდება არა მხოლოდ ადგილთან მიჯაჭვულობით, არამედ როგორც „აქტიური და კოლექტიური მუშაობა ფიზიკური, სიმბოლური და ურთიერთობითი ტრანსფორმაციებისთვის".

როგორც სახელმწიფოზე ორიენტირებულ „ერთი საკითხის" სტრატეგიას, გენდერულ მეინსტრიმინგსაც შეუძლია მხოლოდ გარკვეულ წერტილამდე მიგვიყვანოს. და მოდი ვაღიაროთ, რადიკალური ტრანსფორმაციისთვის სახელმწიფოზე სრულად დაყრდნობა დროის ფლანგვაა, და შესაძლოა საშიშიც კი იყოს შავკანიანი და მკვიდრი მოსახლეობისა და ფერადკანიანი ადამიანებისთვის, რომლებიც გასაწირებად ან „პრობლემად" მიიჩნევიან, რომელიც უნდა გადაიჭრას ან მოშორდეს „პროგრესული" ქალაქიდან. ისოკეს კვლევა წარმოაჩენს მრავალფეროვან თემებში კავშირების გაჭედვის ძალას რასიზმთან, სექსიზმთან და ჰომოფობიასთან საბრძოლველად, რათა ქალაქში ჩაგვრას „დაუპირისპირდნენ და გარდაქმნან [ეს] სტრუქტურული ინტერსექციურობა". მე მინდა ქალაქებმა განახორციელონ პოლიტიკა და შექმნან სივრცეები, რომლებიც ზრუნვის სამუშაოსა და სოციალურ რეპროდუქციას უფრო კოლექტიურს, ნაკლებად გამომფიტავს და უფრო სამართლიანს გახდის. თუმცა, ვიცი, რომ უნდა ვეძებოთ უფრო სიღრმისეული ცვლილება და უფრო ფართო და განმათავისუფლებელი წარმოდგენები ქალაქის იმ სივრცეებსა და თემებში, რომლებიც უკვე პრაქტიკაში ახორციელებენ ზრუნვის გზებს, რომლებიც არღვევს ბინარულობას ანაზღაურებად და აუნაზღაურებელ შრომას, საჯარო და პირად სივრცეებს, წარმოებასა და სოციალურ რეპროდუქციას შორის.

ორსულობამ და მშობლობამ, როგორც ქალს ქალაქში  ფემინისტური ურბანული ცნობიერება გამიღვიძა. ისეთი გამოცდილება, როგორიცაა სექსუალური შევიწროება ქალაქის ქუჩებში, ჩემთვის ახალი არ იყო, მაგრამ სოციალური და სივრცითი გარიყვის ფორმების მჭიდრო კავშირი - გზები, რომლითაც აშენებული გარემო და სოციალური ურთიერთობები ირევა ერთმანეთში - უცებ ხელშესახები გახდა. შეზღუდვები იმ სახის ურბანულ სუბიექტურობებზე, რომლებშიც შემეძლო არსებობა, კრისტალურად ნათელი იყო. ანონიმურობის, უხილავობისა და კუთვნილების საზღვრები მკვეთრი იყო, გენდერული განსხეულების აშკარა ფორმების ეფექტები ჩემს ყოველდღიურ

ცხოვრებაზე კი – მწვავე. ამ კონტექსტში, ჩემთვის დედობა იქცა კატალიზატორად, რომელიც მოქმედებდა ბრაზის, იმედგაცრუების, ფრუსტრაციისა და ზოგჯერ სიხარულის გავლით, ფემინისტური ურბანული მომავლის წარმოსახვის სურვილისთვის.

როგორი იქნებოდა ზრუნვით სავსე ურბანული მომავალი? მომავალი, რომელიც დაეფუძნებოდა ფერადკანიანი ქალების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალების, ქვიარ ქალების, მარტოხელა ქალი მზრუნველების, ხანდაზმული ქალების, მკვიდრი ქალების საჭიროებებზე, მოთხოვნებსა და სურვილებზე, და განსაკუთრებით მათთვის, ვისთვისაც ეს იდენტობები გადაიკვეთება? ნათელია, რომ დადგა ჰეტეროსექსუალური, ტრადიციული ოჯახის დეცენტრალიზაციის დრო ყველაფერში, საცხოვრებლის დიზაინიდან დაწყებული, ტრანსპორტირების სტრატეგიებით დამთავრებული; უბნების დაგეგმარებიდან ურბანულ ზონირებამდე. ეს ნიშნავს, რომ ქალაქის დამგეგმარებლებმა და არქიტექტორებმა აღარ უნდა მიიღონ თეთრკანიანი, ფიზიკურად ჯანმრთელი სისგენდერი კაცი, როგორც საწყისი სუბიექტი და წარმოიდგინონ ყველა სხვა, როგორც ნორმის ვარიაცია. ამის ნაცვლად, პერიფერიები უნდა იქცეს ცენტრად. მიუხედავად იმისა, რომ შიდა გარეუბნებში მცხოვრები ხანდაზმული ქვრივებისა და ჯენტრიფიცირებად უბანში მცხოვრები დაბალშემოსავლიანი ლესბოსელი დედების ცხოვრება განსხვავებული იქნება, ჩარევები ქალაქის სერვისებსა და კომფორტზე წვდომის გასაუმჯობესებლად ერთისთვის, სავარაუდოდ, სასარგებლო იქნება მეორისთვისაც. ხელმისაწვდომი ტრანსპორტი, გაწმენდილი ტროტუარები, ხელმისაწვდომი საცხოვრებელი, უსაფრთხო და სუფთა საზოგადოებრივი ტუალეტები, წვდომა საზოგადოებრივ ბაღზე, მინიმალური საარსებო ხელფასი და გაზიარებული სივრცეები ისეთი საქმიანობისთვის, როგორიცაა საჭმლის მომზადება, შეამსუბუქებდა ტვირთს მრავალი სახის შინამეურნეობისთვის, რომ არაფერი ვთქვათ სხვა ისეთ მნიშვნელოვან მიზნებში წვლილის შეტანაზე, როგორიცაა გარემოსდაცვითი მდგრადობა.

ფემინისტურ ქალაქში ფიზიკური თუ სოციალური ბარიერები მოშლილი უნდა იყოს, ყველა სხეული კი – მისაღები და თავისუფალი მასზე მორგებულ გარემოში სამოქმედოდ. ფემინისტური ქალაქი უნდა იყოს ზრუნვაზე ორიენტირებული, არა იმიტომ, რომ ქალები უნდა დარჩებიან ზრუნვის სამუშაოზე პასუხისმგებელნი, არამედ იმიტომ, რომ ქალაქს აქვს პოტენციალი უფრო თანაბრად გაანაწილოს ზრუნვის სამუშაო. ფემინისტურმა ქალაქმა უნდა მიმართოს შემოქმედებით ინსტრუმენტებს,

რომლებსაც ქალები ყოველთვის იყენებდნენ ერთმანეთის მხარდასაჭერად და იპოვოს გზები ამ მხარდაჭერის ურბანული სამყაროს ქსოვილში ჩასაშენებლად.